





უკრნალ ჟეჟალასა


| | | |
|-------|--|-----|
| I | საიდან გაჩნდი? სურათი | 610 |
| II | ფუტკარი და ია, ლექსი— შიო მღვაიშელისა | 611 |
| III | ფრთხილი ძაღლი— ამბავი | 614 |
| IV | კვერნას მარცხი (ბიკოვიდან) | 615 |
| V | თვალთმაქცი ციკუნია (თარგმანი) | 616 |
| VI | ღედის ხმები, ლექსი— გელასი | 617 |
| VII | სამი მეგობარი, ამბავი— თამარა თარხან-მოურავისა | 618 |
| VIII | ნატერის ბეჭედი (ზღაპარი) დასასრული— გიგენ- ტი თაბუქაშვილისა | 623 |
| IX | გადარჩენ, გადარჩენ! (ბიკოვიდან) მანანასი | 626 |
| X | მწყემსის ფიცრული (ფრანგულიდან) *** | 630 |
| XI | წვრილმანი: გამოცანა, ზმა— გასართობი | 637 |
| XII | თავაზიანი შვილი-შვილები (სურათზე დაწერილი) გ. გველესიანისა | 639 |
| ————— | | |
| XIII | ზამთრის პირი, ლექსი— გელასი | 640 |
| XIV | გიორგობისთვე— კვატერინე გაბაშვილისა | 641 |
| XV | ლომის ლექვი (დასასრული) ილიკო ფაღიანისა | 643 |
| XVI | დათუნისას ოინები (შემდეგი იქნება) სკოტუორ- ლისა. თარგმანი— ფ. სიჩაძისა | 649 |
| XVII | მოგზაურობა ახალ აფონში— ყარაშან ჩხეიძისა | 655 |
| XVII | მესამე, მოთხრობა ლემერსიესი, თარგმანი— ელ. საბურჯანიანისა | 661 |
| XIX | ბიძის ნაამბობი, ბავშვების ცხოვრებიდან, (და- სასრული შემდეგ)— ალ. ნათაძისა | 667 |

ჟეჟილის 1913 წლის ხელის მომწერლებს

სახქრათ დაურიგდებათ

დასურათებული წიგნი.

ჩვენი მუკოზრები



საქართველო ნახატებიანი
ქურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპური, გახდი ყანაო!..

ო. დ.

ნოემბერი, 1912

◆ წელიწადი მეოცდასამე ◆

თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი „ზრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1912



ქართული
საქმიანობა



სადან გაჩნდი?



ფუტკარი და ია.

ფუტკარო, რისთვის იწუხებ
შენ თავს, აქა იქ ფრენითა,
ნუ თუ, ვერ სტკებები მთელი დღე
ჯარდ-უვაზილებთან ლხენითა?

აბა, გვითხარი, ჩვენ შენთვის,
როდის რა დაგვიძურია;
მოხმანდი, როცა გშიოდეს,
ან კიდე, როცა გწეურია.

გაგიძლით გულსა და სულსა
ცვარ ნამის სასუტავათა,
სათაფლე მტვერსაც მოვარტმევთ
მადლობით, თავის თავათა.

— რა ამხავია, არ შესმის,

იანუ, ეკ საუვედურები,
ვის რა აქვს ჩემთან საქიშხო
ან საქმე დასამდურები?!

მე, ჩემის ტკბილის ნაყოფით,
სუკველას ვემსახურები,
მადლიერი შეავს ბაღლები,
მლოცავენ მკვდართა სულები.

— არა, ფუტკარო, ნუ ჯავრობ,
ვფიცავ დასა და ძმობასა,
დღეს უური მოვკარ მე შენზე
სამდურავსა და გმობასა.

ცუცუშერალა და ლენცოფა
რალასაც კემდურებოდნენ,
კულზვიადობდნენ, ჯავრობდნენ,
და ჩვენზედაცა სწერებოდნენ.

ისე აგვივლის, ჩაგვივლის,
ერთხელ არ შემოგვსედავსო,
ბზულია უკმესობასა
ჩვენზე, როგორა ბედავსო?

სხვა ვვაფილებთან, მუდამ კი,
დაფრინავს ფაცა-ფუცითო,
დამთვრალი მათის ალერსით,
შინ მიდის, ბრაცაბრუცითო.

— არც მითხოვნია, არც რას ვთხოვ.
ლენცოფას, ცუცუშერალასა,
გინდ ბაღში იდგნენ უნამკო,
გინდ ამშვენებდნენ ჭაღასა.

მითხარი, იაკ, რა ვსთხოვო
წივას, გინდ გამხმარ ჩაღასა,
ნეტავ რას იბუსხებიან,
თავს რად ატანენ ძაღასა.

მათ შტვერი ღვარძლით ავსილი
მიართვან კესლიანებსა,
მე დავენაცვლე ვვაჟილებს
სათაფლე, თესლიანებსა...

შ. მღვიმელი.





ფრთხილი ძაღლი



ერთ მეცნიერს ჩვეულებათ ჭკონ-
და, ღამ-ღამობით, ლოკინში წი-
გნის კითხვა.

სშირათ, კითხვისაგან დადა-
ლულს, ისე ჩაეძინებოდა სოლ-
მე, რომ სანთელს ვერ ჩააქრობ-
და. მაგიდაზე, სანთელთან ერ-
თათ .ბევრი წიგნები და ქაღალ-
დები ეწყო. ღამე, შესაძლებელი

იყო მათ სანთელი წაჭკიდებოდა. სშირათ, ღამე მეც-
ნიერს, როგორც კი მოაგონდებოდა, რომ სანთელი
ჩაუქრობელი დაჩნა, შეშინებულს გამოეღვიძებოდა.
მაგრამ სანთელს კი, მიუსუდავათ იმისა, რომ კარე-
ბი დაკეცილი იყო და არაჟის შეეძლო შესვლა, ჩაქ-
რობილს სუდავდა.

რომ გაეგო რაში იყო საქმე, ერთ ღამეს მეც-
ნიერმა სანთელი ანთებული დასტოვა და თავი მო-
იძინარა. რამდენიმე წუთის შემდეგ, იმან დაინახა,
რომ იმისი საუვარელი ძაღლი, რომელიც კუთხეში
იწვა, წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, სკამზე შესტა და
თათით სანთელი გააქრო.



კვერნას მარცხი



ძალიან შიან კვერნას! გუშინდელ ნადირობამ ფუჭათ ჩაუარა, ერთი გაკნაჭული თავის მეტი არა შეუჭამიარა და ამიტომ შიამილმა დღეს აღრიან გამოაღვიძა.

უვლის კვერნა ტუეს და გაფაციცებით დაემებს საჭმელს. აგერ, ფოთლებში თვალი მოჰკრება ციუვის უვითელ ქათიბს და გაექანა იმისკენ. საწვალ უმწეო ცხოველს თითქმის მიეწია კიდეც და საცაა ციუვი განსდება თავის მტრის მსხვერზლათ. იმედ დაკარგული ციუვი უკანასკნელ საძუალებას ხმარობს: ხის კენწეოროდან ჰირდაზირ დედა-მიწაზე დაეშვა, მერე სწრაფათ მეორე ხის კენწეოროზე აცოცდა და იქიდან ისევ ძირს ჩამოსტა.

თუმცა კვერნა ძალიან დაძმეული იეო, მაგრამ ამისთანა სტუნაობას ვერ გაბედავდა. დაღონებული თავი დაანება ციუვის და უფრო ადვილი დავლის საძებნელათ გასწია.



თვალთმაქცი ციცუნია



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ატები ძალიან ეშმაკები არიან. ერთ ჰატარს ქალსა ჭყავდა მშვენიერი ციცუნია, რომელსაც ერქვა „მარკიზა“. ერთხელ ის ეტლის ქვეშ მოჭყვა და ფესი დაუშავდა.

სუეველანი ერთი ამბით უვლიდენ „მარკიზას“.



მაგრამ ვეკლასე მეტად ანაზებდა მას მისი ჰატრონი ჰატარს ქალი, რომელიც სშირად ნაღებს უზიდავდა ხოლმე.

ციცუნიას ფესი თანდათან მოუჩნა და ბოლოს ჰირუტევების ექიმმა სთქვა, რომ „მარკიზას“ აღარ უჭირსრა, მორხენილიაო.

ციცუნიაც წინანდებულათ მოჭყვა სტუნვასა და თამაშობას, მაგრამ როდესაც თვალს მოჭკრავდა თავის ჰატარს ქალბატონს, მომავალს ნაღბით ხელში, მაშინვე ერთ ფესს აიკვანჭილებდა და ისე მოჭყვებოდა სიარულს, თითქოს ფესს ვერა სდგამსო.



დედის სმები



მზე ამობრწყინდა, იცინის,
 ქვეყანა ფეხზე დგებაო,
 გასწი, გოგილო, სკოლისკენ,
 გასწი ძალ, გვიანდებაო!..
 მასწავლებელი გაატყუებს, სკო-
 ლის ჩამოჰკრეს სარია,
 მიდი, ესტუმრე, ბიჭიკო, იცო-
 დე შენი ვალია...
 არ დაივიწყო წიგნები, ანბანი,
 „დედა-ენაო“
 ისაა შენი ევაგილი, სარკვე, ბუ-
 ლბული, ლხენაო!..
 დედა და ძამა ღარიბი, ფეხზე
 იკლებენ, ტანზეო,

გადასახადი ბევრია... დანარჩენს ხარჯვენ შეიღზეო!..
 ოღონდ ისწავლე, შეილიკო, ოღონდ კი, გენაცვალო,
 ჭკვიანი კაცი შეიქენ, ოჯახსი გაასარეო!..

იცანი მთელი ქვეყანა, იცანი შენი მხარეო,
 ჩაგრული ძარად გახსოვდეს, ბედი რო ტან ჯავს მწარეო! .

მზე ამობრწყინდა, იცინის, შესე რა კარგი ღარია!..
 გასწი, ბიჭიკო, სკოლისკენ, გესმის, ჩამოჰკრეს სარია!..

გელო.



სამი მებოტანი

(გუდგნი მარა მავაშვილს).



რთ სოფლის თავში, ერთი მე-
ქათმე ცხოვრობდა, რომელსაც
ბევრი ბატი, ისვი და ქათამი
ჰყავდა. ერთხელ ერთი ვარია,
ისვისა და ბატის ჭუკი ეზოს
განცილდენ, დაინახეს ტყე და უთ-
სრეს ერთმანეთს: მოდით ტყე-
ში გავისეირნოთ, დავათვალიე-
როთ და როცა მოვალთ დედან
უამბოთო. — კარგო, ეველამა სთქვა და წავიდენ. მიდიან
თავისთვის. როგორც კი ცაში დიდ ფრინველს დაინა-
სავდენ, მაშინვე ჯავებს ამოეფარებოდენ და ფრინვე-
ლი რომ თვალს მიეფარებოდა, ისევე გზას გაუდგე-
ბოდენ. გზაში ხან ჰეჰელებს იჭერდენ, ხან ჭრიჭი-
ნებს და ასე შექცევით, თითონაც ვერ გაიგეს თუ რო-
გორ, მიადგენ ძელიას სოროს. ძელიამ რომ უხმო-
ზე ეს სამი სტუმარი დაინახა, თვალები გაუბრწეინ-
და, ზირში ნერწვევი მოუვიდა და ალერსიანათ მიე-
სალმა:; ჩემო კარგებო, ჩემო სულიკოებო! რა რიგ
მიხარია, რომ თქვენ თითონ მოსვედით ჩემთან, გუ-
შინ საღამოთი ბევრი ვეცადე თქვენთან შემოვსული-



უავი და დამეზატეხეთ, მივრამ იმ ბორბტ კაცს, თქვენ ზატრონს, ვეელა კარი დაეკაბა. მოაჯირიც რომ ისეთი მაგარი და ძალალი გაუკეთებია!?. ჩემო კარგებო, თქვენ როგორღა გამოეზარენით იმ სასიხ-დარ კაცს?—ძალიან კარგათ—უზასუსეს სამივემ—კარები ღია იყო და ტუეში გამოფისეირნეთ.

ვარია შეეკითხა: შენ, ვინა ხარ, რომ ჩვენი ნახვა-ვერე გაგესარდა?

— მე ვარ თქვენი კარგი მეგობარი. რომ იცოდეთ რა რიგათ მიუვარსართ!?. ის ეშმაკი კაცი იმი-ტომ არ მიშეებს თქვენთან, რომ ეშინიან ვეელანი ჩემთან არ წამოხვიდეთ და თითონ ზირცდარიელი არ დარჩეს.

— შენ, რათ გაგესარდა ჩვენი მოსკლა—ჭკითხა ვარიამ—უნდა ჩვენთან ითამაშო?

— ჰო, კარგებო, ჰო! სინხარულებო, შემოდით სორბში და ვეელაფერს გეტყვით.

ეს სამი მეგობარი მწკვრივ-მწკვრივათ, ჯერ ვარია, მერე ისვი, მერე ბატი სორბში შევიდნენ. აქ მელიამ ველარ მოითმინა, ვარიას ფრთაში ჰირი წახვლო და უთხრა:

— ჩემო სინათლეკ, გემრიელათ უნდა ჩავახარა-მუნო!

ვარია შეკრთა.

— შენ, ის ძელა სომ არა ხარ, რომელიც დუ-დას ეჯავრება? თუ ის არა ხარ, დაძცა, რა გინაბო.

მელიამ იფიქრა, სულაერთიან სომ ჩემი ლუკმა, მადრი ლაზარაკითაც გამართოსო და უთხრა:

— აბა, შითხარი!

— იცი, ბიძია მელაჳ, მე ვინა ვარ? მე ვარ ვარია, ქათმის შვილი. აი დედამ რა მიაძბო: მე მანამ გაუნდებოდი კვერცხი ვიუავი, დედამ თხუთმეტი კვერცხი დადო, მერე კრუნათ დაჯდა. სამი კვირა კვერცხებსე იჯდა, მარტო სამ დღემი ერთხელ, თუ სჭაძდა რამეს, სხვა დროს კი იჯდა, რომ კვერცხები არ გასციებოდა. სამი კვირის შემდეგ კვერცხებში თურმე წიწილებმა დავიწივლეთ, დედამ ნისკარტი დაჭკრა კვერცხებს და გამოგვაძვრინა პატარა, ყვითელი, ფუნთუშა წიწილები და წარმოიდგინე, მაშინვე თურმე სიარული დავიწყეთ, როდესაც ჩვენ პატრონს კაცს შვილი მალვა ერთი წლისა ჭეავს და ჯერაც არ დადის, მე კი...

მელამ განწევვითინა: -- გეყოფა, კარგო, ლაპარაკი, ახლა...

— არა, არა, ბიძია, სულში გენაცვალე, კიდევ მათქმევინე ერთი სიტყვა!

— აბა, სთქვი ჩქარა! — უთხრა მელამ.

— ჯერ იხვისა და ბატის ჭუკებსაც ათქმევინე, შეესვენა ვარია.

— აბა, იხვო, ჩქარა თქვი!

იხვი მოუევა: — მეც ჯერ კვერცხში ვიუავი. ჩემი დედა წუალში ცურაობდა და უცებ კვერცხი დადო. ის კვერცხი წუალს უნდა წაელო, რომ უცებ ბიჭმა დაიჭირა, დედას მიურბეინა და შეესვენა: დედა, გოგლი-მოგლი გამიკეთო. დედამ უთხრა: არა, შვილო, იხვი სხვა კვერცხებსაც დასდებს და პატარა იხვები

უნდა გამოვანჯიროთო. ძარტლას დედამ სხვა კვირსწერი ბიჭ დადო, დაჯდა და, როგორც ვარიაძე. სთქვა, სამ კვირასე კი არა, ერთ თვეზე დედამ ნისკარტით კვირსწერი გატეხა და გამოგვიყვა. მე, ხომ ხედავ, როგორი ფეხები მაქვს? აი, თითები გადაბმულები არიან ერთმანეთზე თხელი ტყავით და ამის შემწეობით ორსამ დღეზე დედასთან ერთათ, ჯერ ჰატარა წყალში ვცურაობდი, რომელსაც სასძელათ გვიდგამდენ და მერე მდინარეშიაც მივდევდი დედას.

აი ნისკარტიც ზრტყელი მაქვს, ბუმბულიც ისე მაქვს ერთმანეთზე გაწეობილი, რომ წყალი ტანში არ მატანს. ნისკარტით წყალს ჯანაობ, წელის ჭიკაძუს ვიჭერ და გაბმული თითებიც მენავის ნიხებ-სავით მშველიან და თან სულ ვეიყინებ ჩემ მშვენიერ გალობას... მელამ ამასაც გააწევეტინა ლაპარაკი. იხვი შეესვენა: — კარგო, ბიძა მელა, ერთი ბატის ჭუკიც ალაპარაკე და მერე ხომ სადღა წავივალთ. მელას მოუთმენლობა ეტუობოდა: — აბა, ბატო, ახლა შენა სთქვი!..

— მე რაღა გავიგრობელო, — დაიწყო ბატმა — მეც ისე გაფხნდი, როგორც იხვი. იხვს კიდევ ბევრში ვგეგვარ: მაგასავით დავდივარ, დავცურავ და დავფრინავ, მხოლოდ მაგასე დიდი ვარ ტანით. ერთი რამა მაქვს სათქმელი თუ ჩვენ სამნი როგორ დავიკობობოდით. ერთ ღამეს ჩვენ საქათმეში წუწკი ვირთავვა შემოპარულიყო და მთელი ბატის, იხვის და ქათმის ჭუკ-წიწილა დაესწრა და დაეყარა. მარტო ეს სამნი გადავრჩით. ჩვენმა ჰატრონმა იმავე ღამეს მე და იხვიც ქათმის

კრუსის ბუდეში ჩაკვსს. მკორე დღეს კრუსმა-ცემა დაგვიწყო, მაგრამ მერე შეგვეჩვია და ესლა ისე უფარვართ, როგორც თავისი ვარია. ერთბეწო რომ თავალს მოვეფაროთ, საწუალი კაკანით გასქდება.

— საწუალი, დედა—სთქვა ვარიათ, — გონი ესლა ტირის და ტირის. მართლა, ბიძია შელა, შენ შეილლები არა გეგანან?

— როგორ არა, მეგანან, მამ — მიუგო შელიათ.

— შენ, ისინი გიეგარან?

— მიეგარან, მამ!

— სად არიან? — შეეკითხა ვარია.

— ტუეში გავიდენ, საშოვარზე.


— ბიძია შელა, ესლა რომ მგლებმა შეჭამონ, ან მონადირებმა მოკლან შენი შეილლები, რას იხამ?

შელამ ამ კითხვაზე ჰასუსი არ გასცა, გულ-გახეთქილი გამოვარდა სოროდან და ის ღა დაიძახა:

— მანდ მომიცადეთ, ჩემ შეილებს მოვიეგან!

შელა მიეფარა თუ არა, ჩვენი ვარია და ჭუკები, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მინისკენ გაჭკურცხლეს და თავიანთ კრუს-დედას გულის ფანცქალით ფრთებ ქვეშ ამოუსხდენ.

თამარა ზაქ. თარხან-მოურავისა.



ნატურის ბეჭედი

(დასასრული)



ანდგენ ორივე ცოლ-ქმარი საქმეს, იმუშავეს, იმუშავეს ერთს წელიწადს ისე მუყაითად, რომ მიწაც იყიდეს და ნაშოვნის ფული კიდევ გადაჩნათ.

— ჰსედავ! რაც გვინდოდა ვიძოვეთ და სანატრელი ისევა გვაქსო, უთხრა გლეხმა ცოლსა.

— მოდი, ერთი, ძროხა და ცხენი ვინატროთ, სთქვა ცოლმა. გლეხმა მონაწილად ფული ჯიბეში ჩაარჩინუნა და უპასუნა: — ეს ფული სომა გვაქვს, ამას კიდევ ერთის წლის ნამუშავარი მივუმატოთ და ისე ვიყიდოთ, სანატრელს კი ასე უბრალოთ ნუ დაგვარგავთო.

მართლაც, ერთის წლის შემდეგ, ცხენიც იყიდეს და ძროხაც. ქმარმა კმაყოფილებით სთქვა: ერთი წელიწადიც კიდევ მოვითმინოთ და მერმე ვინატროთ რაცდაგვჭირდებაო.

— აბა, მაგას როგორ ამბობო, უთხრა გულმოსულმა ცოლმა, — რა ხანია ეგრე გაიძახი, აი გაიხათ ვინატროთ, აი გაიხათაო, მუშაობას თავს აკლავ, შრომობ, ძვირფასი ღრე გადის და შენ კი არაფერს ნატრულობო. ან მეფობას ვინატრებდი, ან კეისრო-




ბას, ან გრაფობას, ან მდიდარ გლეხობას დაინახა
ფულით სავსე სკივრებს; აჰ! არა და არა, ვერ იქ-
ნა, ვერაფერი გადასწვიტე.

— თუ ღმერთი გწამს, მაგეებს თავი დაანებე, შეა-
წვევტინა ქმარმა, — ჯერ კიდევ ახალ-გაზრდები ვართ,
წუთისოფელი წინა გვაქვს. ვინ იცის, რა შავი დღე
მოგველის. მადლობა ღმერთს, ჯერ არა გაგვიჭირებია
რა და თუ გაგვიჭირდება, მაშინაც მოვასწრობთ ნა-
ტვრასაო.

ჯერ-ჯერობით, საქმე ამით გათავდა. გავიდა ბევ-
რი ხანი. გლეხი თანდათან მდიდრდებოდა. ჭირნახუ-
ლი იმდენი მოსდიოდა, რომ ბელლებსაც გაავსებდა
ხოლმე და სახლიც ეველათფერი სიკეთით სავსე ჰქო-
ნდა, მაგრამ მაინც მუყაითად მუშაობდა; კაცს ეგონე-
ბოდა მთელი ქვეყანა უნდა შეიძინოსო. საღამო ხანს
ცოლ-ქმარი სახლის წინ ჩამოსხდებოდნენ ხოლმე, ის-
ვენებდნენ და თან გამკლელ-გამომკლელს სალამს აძ-
ლევდნენ.

როდესაც მარტო იყვნენ და მათი ღაზარაკი არა-
ვის ესმოდა, ცოლი აუვედრებდა ქმარსა, რატომ არა-
ფერს ნატრულობო და თან ურჩევდა აი ეს ინატრე და
აი ესაო. გლეხი კი უოველთვის ერთსა და იმავეს
უზახუსებდა ხოლმე, გაჩუბდი, ქალო, ჯერ ადრეა, და-
მცა და მე თვითონ შევარჩევ დროსაო. თუძვა მა-
ლიან უარზედ იდგა, მაინც ბევრჯერ შემოატრიალებ-
და ხოლმე ბეჭედს თითზე, მაგრამ შეეშინდებოდა და
ვერაფერს ჩაუთქვამდა.


გავიდა ორმოცი, ორმოცდაათი წელიწადი. ორი-



ვნენი მოხუცდენ, თმა თოვლივით გაუთეთრდათ, მაგ-
რამ ჯერ კიდევ არაფერი ენატრათ. გაიგო ეს მად-
ლმა ღმერთმა და ორივენი ერთს ღამეს მშვიდათ წა-
იყვანა.

შვილები და შვილიშვილები ტირილით გაჭყვენ
უკან მოხუცებულების კუბოს. ერთმა შვილმა მონ-
დომა ცხედრის ხელიდან ბეჭედის წაძრობა, მაგრამ
უფროსმა დაუშალა და უთხრა: დეე, თავისი საიდუმ-
ლო ბეჭედი სამარეში ჩაჭყვეს. ჩვენ კი, როცა ბეჭედს
მოვიგონებთ, გავისხენოთ თუ როგორ გაატარა მამა
ჩვენმა წუთი-სოფელიო. ასეც მოხდა. ვეელას ეკონა,
მოხუცმა სამარეში ნატურის ბეჭედი ჩაიყოლაო, ის კი
არ იცოდენ თუ უბრალო იყო, მაგრამ იმდენი რამ
შესძინა გლეხს, რომ კაცის გული სხვას ვეღარაფერს
ინატრებდა.

ვიკენტი თაბუკაშვილი.



გადარჩენ, გადარჩენ!

(თარგმანი)



დღის ჰირას, ერთ ჰატარა კლდის
ძირში, მეთევსე ჰეტრეს ჰატარა
ქოსი აეშენებინა და შიგ თავისი
ოჯახით თბილათ და ნებევრათ
ცხოვრობდა.

სღვაში, თევსი ბლომათ იყო, ჰეტრეც არ იყო
ზარმაცი ისე რომ მისი სახლობა ადვილათ იკვებუ-
ბოდა. ცამეტი წლის ქალი ანნა და რვა წლის ვასო
შველოდენ დედამას. დედა და ანნა დილიდან საღა-
მომდის სულ მუშაობაში იყვენ სოლმე: აშრობდენ და
აკურებდენ ბადეებს, მარგლამდენ და უურს უგდებდენ
ბოსტანს, რომელიც სახლის ახლოს ჰქონდათ გაძე-
ნებული და ოჯახში დიასახლისობდენ. ანნამ და ვა-
სომ წერა-კითხვაც იცოდენ დედისაგან ისე, რომ ზამ-
თარში ანნა სშირათ სმა ძალლა კითხულობდა წიგნებს.

ერთ შემოდგომის დღეს მეთევსეს მოუვიდა დედის
ავათმეოფობის ამბავი, მას და მის ცოლს იბარებდა
მოსუცებელი. მეთევსეს დედა ცხოვრობდა თავის მეორე
შვილთან, რომელიც სამოცი ვერსის სიშორესე იმ-
ყოფებოდა. ამათ უნდოდათ უთუოდ აესრულებინათ
მოსუცებულის სურვილი, მაგრამ ეძნელებოდათ სამი
დღით თავი დაენებებინათ სახლისთვის და შვილე-



ბისთვის. ანნა, არწმუნებდა დედას, რომ სამიში არა არის რაღაც.

— სომ იცი, დედა, რომ ჩვენ მხარეს უჩაღობა და ქურდობა არ არი. მკვლელები სომ შინ არ შემოგვიცვინდებიან. ზური და შეშა სამყოფი გვაქვს და მე დავასოს არაფერი გაგვიჭირდება.

ანნას მსნეობით დაიძვებულნი, დედამა და დილა აღრიან გაუდგენ გზას.

პირველ დღემ კარგა ჩაიარა, მეორე დღესაც მშვიდობა იყო: ბავშვები მხიარულათ მუშაობდნენ, მხოლოდ საღამო ხანს ცაზე შავი ღრუბლები გამოჩნდნენ, აგარდა საძინელი ქარიშხალი და დეღამ ზღვაზე თან და თან იმატა.

— კიდევ კარგი, რომ დედამა ახლა დიდდასთან იქნებიან, ამბობდა ანნა, — ჩვენც არა გვიჭირს რა, მოვწველოთ ძროხა და ისე ბოსელში დავამწვედით, მერე ჩავიკეტოთ სახლში, მოუჯდეთ ბუნარს და კაი, კაი კარტოფილები შევიწვათ.

მაგრამ შევიდნენ თუ არა სახლში, ორივენი რაღაც შიშმა აიტანა, მოუსვენრობას გრძნობდნენ. მართალია ბავშვები ზღვის პირას იყვნენ დაბადებულნი და აღზრდილნი, ბევრჯელ ქარიშხალი და დეღამ ენახათ, მაგრამ ახლა ყველაფერი არა ჩვეულებრივათ ეჩვენებოდათ. ვასო ფანჯარას მიუჯდა და ზღვას გაჭყურებდა.

— ღმერთო, კარგი რომ მამა ესლა ზღვაზე არ არის, ფიქრობდა ემაწვილი, — ეს რა არის? თითქოს



გაიელება, ანნა, განა შემოდგომას იცის ელვა-სტეფანო
კიდევ.

ანნა ფანჯარას მივარდა.

— არა, ვასო, ეს ელვა არ არის. უთუოდ რო-
მელიმე გემი იღუპება. გახსოვს, იმ დღეს რომ ვვი-
თხულობდი—კემები დაღუპვის დროს თურმე შუქსუ-
ნებს უშვებენ, რომ იქნება ვინმემ დაინახოს და მიუ-
შველოს. ღმერთო ჩემო, ვინ უშველის მაგ უბედურ-
რებს? ამ ზღვის ნაპირზე სომ ჩვენის მეტი არავინ
ცხოვრობს. აი შუქსუნები კიდევ აუშვეს. ღმერთო ჩე-
მო, როგორ უშველოთ, სომ დაიღუპებიან! ისევ ჩვენ
თუ ვუშველით. ვასო, ეური მიგდე, ავიღოთ საჩქა-
როთ ბევრი, ბევრი თივა, წუმწუმა და ჩქარა გავი-
დეთ სასლიდან.

ბავშვებმა ერთ წამს სახლის კარი მაგრათ გამო-
იხურეს და გაუდგენ გზას.

თუცა გარშემო საშინელი სიბნელე იდგა, მაგ-
რამ ბავშვებმა კარგათ იცოდენ გზა და ძაღვ კლდის
წვეროზე გაჩნდენ. აქ დაუარეს მოტანილი თივა, ან-
ნამ წამს წაუკიდა ცეცხლი და ძაღვ ჭიაკოკონა აპრი-
აღდა. სინათლეზე ბავშვები მოჭყევენ მოგროვებას
ნაფოტების, ჩინჩხვრებისა, რომელნიც ეუარენ ბლო-
მათ ახლო-ძახლო და ზედ ცეცხლზე აურიდენ. ამით
ცეცხლი ძლიერდებოდა, ალი ძაღვს-ძაღვს ადიოდა
და ანათებდა მთელ ზღვის ჰორას, ძაღვ ანნამ მოძა-
ვალი ნავი შენიძნა, მერე მეორე ნავი გამოჩნდა, მე-
სამე...

— ალბათ მოასწორეს ნავებში ჩასხდომა, სთქვა.

ანნამ, — ჩქარა მივაუაროთ ჩინჩხურები, გავაძლიეროთ ცეცხლი, რომ განათდეს ის ალაგი, სადაც მამა მოაუენებს ხოლმე თავის ნავს.

ზატარა ხანს შეძგეგ ნავები მოადგენ ნაპირს.

— გადარჩენ, გადარჩენ! დაივირეს ბავშვებმა, ცოტა კიდევ მიაუარეს ნაფოტი და შინისკენ გაიქცენ.

ამ ღამეს შეთევვზე ჰეტრეს ქოხი სტუმრებით სავსე იყო. ეველა ანთებულ ბუხრის წინ შრებოდა. მეორე დილას რომ გამოიხედეს, ზღვა დამშვიდებული ნახეს. გემი კი არსადა ჩანდა, დამირულიყო. ანნას გამჭრინახობით და ვასოს უოჩადლობით დიდ ძალი სხალსი სიკვდილს გადაურჩა.

მანანა.

(ბიკოვიძან).





მწეუმის ფიცრული

(ფრანგულიდან)



კერაველი, ბრეტანის ჰატარა
 სოფელი, შესასედავთ მშვენიე-
 რება რამ იყო; მისი ისლით
 გადასურული დაბალი ქოხები
 ზღვის ჰირას, კლდიან ძაღლო-
 ბზე, იუვენ გაფანტულნი, და ზა-
 ფსულში, მზიან დღეებში, მწვა-
 ნე ზღვა, მუქი კლდეები და წითელი ვეჯვილები მას
 საამურათ ერტემოდენ გარს.

მაგრამ შორიდან შეტათ ლამაზი, ახლოს კერა-
 ველი საცოდავი სანახავი იყო. მისი მცხოვრებლები,
 მეთევხეები, ძაღვიან ღარიბები იუვენ: მხოლოთ თევა-
 ზის გაუიდვით ირჩენდენ თავს, თევზი კი სშირათ
 აკლდათ, ამიტომ სშირათ ლუკმა ჰურიც არა ჰქონ-
 დათ.

სოფლის მოხდენილმა მღებარეობამ მოგსაურო-
 ბის უურადდება მიიქცია; ქვეით, ქვიშიან ნახირზე,
 ნელ-ნელა მდიდარი სასაფსულო სასლები აშენდა;
 სასლების რიცხვმა იმატა და იმატა; მერე ცხები გა-
 იუვანეს, ქუჩები გააკეთეს; ქვიშაზე მოსიარულე ბავ-



შეებმა დაიწეეს ცქრიალი და თამაშობა, ტილოს კარ-
ვებს შორის ქალების თეთრი კაბები აყრიალდენ.

მაგრამ ამ მსინარულებას და ამ სიძიდრეს თვით
კერაველში არა შეუცვლია რა; იქ ქოხები ისევ ბნე-
ლი და წვირინანი იუვენ. იქაური ბავშვები, გახსდარი
და ფერმკრთალი, ისევ ტალასში ბურჭალობდენ; ქა-
ლები კარებს წინ იჯდენ, დაფიქრებულნი და მოწ-
ყენილნი. თევზი, განსაკუთრებით წრეულს, ძალიან
ცოტა იყო. ნავეები, საღამოთი რომ გზას გაუდგე-
ბოდენ, დილაობით ცარიელები ბრუნდებოდენ. სიცა-
ვისაგან გაუინულებს, წეაღში მთლათ ამოწუწულებს,
საბრალო მესღვაურების შინ მხოლოთ წვეტიანი კლდე-
ებით დაგლეჯილი ბადეები მოჰქონდათ. ბავშვებს
სძირათ ხმელი ზურიც კი აკლდათ საჭმელათ. მთელ
სოფელში სიღატაკე და გაჭირვება იყო გაძეფებული.

კერაველის ღარიბსა და ბნელ ქოხებს შორის,
ეველასზე ღარიბი და ეველასზე ბნელი, ლეკლენის
ოჯახის ქოხი იყო. მამა ლეკლენს, მუდამ ავდრებში
ზღვაზე ფოყნით, მუდამ ხან წვიმით, ხან ტალღებით
დასველებულს ისეთი ქარები გადგომოდა, რომ ხში-
რათ ადგილიდანაც კი ვეღარ იძვროდა; ხშირათ მთე-
ლი კვირბობით თავის ღოგინზე ეგდო მოკრუნჩხუ-
ლი და კვნესოდა; ამ გრძელ დაუსრულებელ, უსაქმო
დღეების განმავლობაში. აუტანელი გაჭირვება დაიბი-
ნავებდა სოლმე მათ ქოხში; ამ დროს მისი ცოლი
და შვილები მხოლოთ მესობლების მოწეალებით იკვე-
ბებოდენ, მესობლებს კი სომ თითონაც არაფერი გა-
ახნდათ!

ლეგნელის ცოლი მსნე და გამრჯელი დედა-კაცი იყო, მაგრამ რა უნდა ექნა, სად და რითი ეშობა ფული? ბავშვებიც კარგები ჰქავდათ, მაგრამ ჯერ ნამეტანი პატარები, არც იმათ შეეძლოთ არაფერი. უფროსი, არმანი, ათი წლის თუ იქნებოდა, მისი და, ლუისა, რვის, ორი უნცროსი ძმა სომ მხოლოდოთ ხუთი და სამი წლის იყვნ.

თითონ არმანი თავს კიდევ დიდ და ღონიერ ძამაკაცათ ჰგონობდა. ძალიან უნდოდა ემუშავნა თავისი პატარა მკლავებით და ერთი-ორი ფარა მანც შეეტანა ოჯახში, სძირათაც ჰფიქრობდა ამაზე, მაგრამ საშუალება ვერაფერი გამოენახა.

არმანს ერთი ძვირფასი მეგობარი ჰქავდა, მოხუცი, ჭკვიანი და კეთილი; ეს მეგობარი—მწეემსი იყო. მას შორეული სამოსახლოებას საქონელი ჰქავდა და ჩაბარებული და მთელი დღეობით ამოკვებდა თავის ჯოგს ძაღლათ გაძლილ მინდვრებსე. ის ძარტოთ ძარტო ცხოვრობდა ზღვის ნაპირას, პატარა ფიცრულში, რომელიც ორ ბორბალზე იყო შემდგარი; ეს მოძრავი სახლი მწეემსს ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდა და ამნაირათ თავის ჯოგთან ერთად თითონაც სძირათ იცვლიდა ბინას. არმანი მას ძალიან უყვარდა, ყოველთვის შუაზე უყოფდა მას რაც კი რამ გააჩნდა საჭმელი და სასმელი. ერთ მშვენიერ დღეს მოსკებისანი სამუშაოც კი გაუჩინა. დიდ ხანს დაფიქრებით უეურა ქვეით, ქვიძაზე გაფენილ მდიდარ აგარაკს და უჩინა არმანს კიბორჩხალების გამყიდველათ გამხდარიყო.



არმანი სიხარულით დაჰქუვა მის რჩევას და მას აქეთ უოველ დილას, ამოანათებდა თუ არა მზე, ის და მისი და ლუიზა კზას გაუდგებოდნენ სოლძე; მარდი და მარჯვე არმანი ადვილათ დაიჭერდა სოლძე დიდ კიბორჩხალებს, მწვანეს, ძისაკს და ნაცრის ფერს, და ჩამწვედევდა მათ, მოხუცი მწვემის მიერ მოწნულ წგნელის კალათებში; ლუიზა კი ამ დროს ლამაზ ხამანწკებს აგროვებდა, ნაპირ-ნაპირ ვეავილებს ჰკრეფდა და თაიგულებათ ჰკრავდა.

ნამუადღევს ორივე მდიდარ სახლებს და ქვიძაზე გამწლილ ოქროს კარვებს ჩამოუვლიდნენ სოლძე; მათი სილამაზე, თვალებით უსიტვეო ვედრება, მადრიელი დიმილი, ვეველა ქალების, ვეველა ბავშვების გულს იკებდა; ისინი ადვილათ ჰქეიდდნენ თავის საქონელს და საღამოს სახლში მიხარულათ ბრუნდებოდნენ; ჯიბეში სშირათ ვერცხლის ფულიც კი ურჩინებდათ.

მაგრამ ერთ დილას ბედმა უმტყუნა არმანს. ვერაფერი ვერ იპოვა; არც კიბორჩხალები ჩნდნენ ქვებს ქვეშ, არც ხამანწკები წმინდა ქვიძაზე; არმანი მაინც თავისას არ იძლიდა. ვეველაფერს ათვალთვრებდა, სჩხრეკდა, ეძებდა; სულ უფრო და უფრო შორს მიდიოდა; ბოლოს მიაგნო ერთ გამოქვაბულს, რომელიც ზღვის ტალღებს კედელსაყით ამართულ კლდეს ქვეშ გამოედრდნა; გამოქვაბულში აუარებელი დიდი, მსხვილი კიბორჩხალები იყო, რომლებიც, არმანის მიახლოვებაზე, აქეთ-იქით გაიფანტნენ; ის გამოუდგა მათ, ბევრიც დაიჭირა, ერთ საათში მთლათ ააგნო ვეველა კალათები. სიბნელეს რომ თვალი შეაჩვია,

მშენებელი ჩამანწყებიც ნახა, ლამაზი ზღვის მცენარეობაც გამოძებნა...

მერე გამოქვაბულას შესავლისკენ, სინათლისაკენ გამოობრუნდა და უცნაო ერთი სამიწათ დანიკვილა. ზღვის ადიდების დრო დამდგარიყო და ზღვა სულ ასლოს მოსულიყო, ქვები კიდევ დაუფარა, გამოქვაბულს სწვდებოდა.

ბავშმა სცადა თავი ეხსნა ხიფათისაგან, მამაცათ შევიდა წებლში, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა; მაგრამ ძალე ძირს ფეხი ვეღარ დაუწია, რაღაც ორმოში ჩავარდა, კინაღამ დაიღრჩო; ისევ უკა, დაბრუნდა. ცურვა მან არ იცოდა, როგორ უნდა ეშველა თავისთვის?

ზღვა კი სულ უფრო და უფრო მატულობდა; არმანმა კლდეც აჭხედა, გამოჩანს კვალი, რომელიც მასზე დაეჩინა ადიდებულ ზღვის ტალღებს; მალე, სულ მალე იყო ეს კვალი; მან სცადა აცოცებულყო თვით კლდეზე; მაგრამ სალი კლდე კედელსაგით აძარბულიყო; დიდი გაჭირვებით აცოცდა ბავში ერთი — ორი ადლის სიმაღლეზე; ტანისამოსი მთლათ დაიკლიჯა, ხელები დაისისხლიანა, მაგრამ მან ინც ვერაფერს გასდა; სულ ზევით ასვლა შეუძლებელი იყო; თითები მოუსხლტა, ფეხები ვერაფერზე შეიკავა — და მძიმეთ ჩამოვარდა ძირს. სასოწარკვეთილებით ევირილი მორთო...

ზღვა კი სულ მატულობდა და მატულობდა, ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლათ. წებლა ბავშვის კო

ჭებადის მოაღწია; საშინელი სიკვდილის წარმოდგენამ მას შიშით თვალები დახსუჭვინა.

უცებ ის შეკრთა და თავი ძაღლს ასწია. ვიღაც უძახოდა მას, ვიღაცას ნაცრობი სმა მოესმა შეძოდან. ქვითინით აიხედა მან კლდის მწვერვალისკენ და დაინახა თავისი მოსუცი მეგობრის გაჭაღარებული თავი; მწეემი კლდის წვეროდან, ათი ადლის სიმაღლიდან გადმოსჩერებოდა მას.

წყალი ბავშვის მუსლებადის ამოსულიყო.

— ცურვა არ იცი? — ჭკითხა ბოლოს მწეემსა.

— არა!

— ამოცოცება არ შეგიძლია?

— არა!

მწეემის სახე ნაღვლიანათ შეიჭმუნა. მას თოკი არ ჭქონდა; მის მოსატანათ რომ სოფელში წასულიყო, დაბრუნებადის ბავში დაიღრჩობოდა, წყალი ახლა მუცლადის სწვდებოდა. შიშისგან დამუნჯებული, ის თავის მოსუცი მეგობარს გაძტერებით აჭეურებდა.

მწეემი წელში გაიძარდა.

— ნუ კეშინია! — დაუძახა მან. — არ დაინძრე ადგილიდან! ახლავე გიხსნი გასაჭირისაგან!

მოისმა ბორბლების ჭრიჭინი, ფიცრების ჭრიალი, ჩქარი სულის მოთქმა... და ისევ გამოჩნდა მწეემი, რომელიც დიდი გაჭირვებით მოაგორებდა თავის მოძრავ სახლს. ძიაგორა ის ზედ კლდის ნაპირზე, ჭკრა ხელი და ძირს გადაუშვა. ურემი ჭაერში გადატრიალდა და დიდი სმაურობით ჩაინთქა ზღვაში;



მერე ისევ ზევით ამოცურდა დ ცოტა მოშორებით წყალ-
ზე დაიწყო ტივიტივი. ნელ-ნელა ტალღებმა ის ბავ-
შისკენ მიდუნეს, ბავში მოებლანუჭა მას და მარდათ
შეცოცდა ზედ. ეს მაგარი და საიმედო ტივი იყო,
ზღვა მას ადვილათ ვერას დააკლებდა.

— ახლა, — უთხრა მწეემსმა, — გაახერე ეკ ნაპი-
რის სიასლოვეს, ხელებით ან შენი კაკვით. ამ ნახე-
ვარ საათში თოკებით მოგემკვებებით.

გაიარა მხოლოდ ოცმა წუთმა — და თოკზე ჩა-
მოკიდებული ერთი მეთევზე ჩამოეშვა არმანის
სამშველათ. მან სტაცა ბავშს ხელი და იღლივ
ქვეშ გამოაბა თოკი; მერე თოკი ნელ-ნელა ზე-
ვითკენ აათრეეს; ბავში ჰხერძი დაეკიდა; აი, ის
ჰხედავს კლდეს, რომელიც თითქო ქვეით-ქვეით მის-
რიალებს; ის ხედავს კლდის წვერს, ძაღლობ ნაპირს,
თავის დედას, ლუიხას უვაკილებით ხელში, მოსუც
მწეემსს, მეთევზეებს, — და თეთრ კაბებში გამოწყო-
ბილ ქალებს, მდიდრულათ ჩაცმულ კაცებს, შორთულ
ბავშებს... ეველა აღტაცებულია, ეველა გაფითრებუ-
ლია, რაღაცას იძახიან, იცინიან...

არმანს გული შეეწუსდა.

ეს უბედური ნადირობა მისთვის ეველა სხვაზე
უფრო ნაუფიერი გამოდგა; ჰატარა შეკიბორჩხალეს
თავ-გადასავალმა, მისმა სიკვდილისაგან გადაჩენამ
საავარაკოთ მოსული მდიდრების უურადლება მიიქცია
და გაიტაცა; მის დედას დაესმარენ, მის ძამას მოუ-
არეს, ლუიხა და მისი ძმები თავით ფეხებამდის გა-
მოაწყეს; თვით არმანი კი არც მერე დაივიწყეს,
უნატრონეს, გამოხარდეს; ათ წელს შეძგე მან კი-
ნახია განათვა და საზღვაო სასწავლებელში შევიდა,
დღეს კი მესღვაურ აფიცრათ არის.



გ ა მ ო ც ა ნ ა*)

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილის მიერ)

ცოცხალი მყვანდა პატრონი,
ყელი გამოჭრეს დანითა;
ტყავი გააძრეს საცოდავს,
გაჭიმეს სიგძე ვანითა...
შემკერეს ფეხსაცმელებათ,
მათრიეს ერთი ხანითა,
როცა გამგლიჯეს მერე კი,
შემომყურებდნენ ძაგვითა,
გადამისროლეს იქითკენ,
სამსე, რომ იყო ნაგვითა...
მიპოვეს, სადღაც წამილეს,
ცეცხლით დამადნეს დაგვითა,
რამ სითხეთ გადამაქციეს,
ოსტატურ მოხერხებითა,
ფიცარს მამსგავსეს, გადადნეს
ცეცხლისა მეოხებითა,
მისაკრობათა მხმარობენ,
ისმინეთ ყურადღებითა:
თუ გამოიცნობ, პატარავ,
მოგმართავ საჩუქრებითა!

ზ ე ა

(მისგანვე წარმოდგენილი)

თხა რიყეზე წარიტაცეს,
დანა ნახეს ჟანგიანი,
არაფერის თავი ჰქონდათ.
წაათრიეს ორ რქიანი.

*) ვინც ამ გამოცნას ახსნის საჩუქრათ მიეცემა „ღვთის წყალობა“.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი



მურათ. შალიკო და მიხა ბაზრიდან მოსულ მამას შეეგებენ. მამამ უმფროსს შვილს შალიკოს გაუწოდა ტკბილი კვერი და უთხრა:

--- აჰა, ეს ტკბილი კვერი და მიხასაც გაუყავი. მხოლოდ იცოდე, ძმურათ უნდა გაუყო.

— ძმურათ როგორ უნდა გავუყო, მამილო! ჰკითხა შალიკომ.

— აი, როგორ: უნდა ეგ კვერი გადატეხო, უფრო მოზრდილი ნატეხი მიხას მისცე და მომცრო შენთვის აიღო.

შალიკო ცოტა დაფიქრდა და მერე მამას უთხრა:

— მამილო, მოდი ეს კვერი მიხას მიეცი და უთხარი, რომ ძმურათ გამიყოს!

ყურმახვილი. ერთხელ მე სკამზე ავძვერი, მინდოდა დამეჭირა ლამაზი პეპელა, რომელიც ჭერში ჩამოკიდებულ ლამაზზე იჯდა. სკამის ფეხი გასხლტა გაპრიალებულ იატაკზე და მე ძირს დავეცი. დაცემის დროს გადავაბრუნე მაგიდა, რომელზედაც ორი დიდი ბროლის საშაქრეები იდგა. ყველა ამან ისეთი საშინელი ზრიალი მოიღო, რომ ეზოში ძაღლებიც კი აწკავწკავდენ.

მეორე ოთახში ძაღზე მოხუცებული პაპა იწვა. იმან იქიდან გამოძახა:

— რა იყო, შვილო? რაღაც ხმაურობა შემომესმა?

— არაფერი, პაპაჯან, მოვყევი მე უსირცხვილოთ, — ხელიდან კალმის ტარი გამივარდა მეთქი.

— კალმის ტარი, პაწაწინავ?! გაკვირვებით თქვა მან და თან კმაყოფილებით და სიხარულით წამოიძახა: — ჰგონიათ, რომ მე ყრუ ვარ, ისკი არა, თუ ჩემი სმენა ჯერ კიდევ ძრიელ მახვილია!






თავაზიანი შვილი-შვილები

სურათზე დაწერილი ამბავი.

ერთს ღრუბლიან დღეს, ბაბუა და შვილი-შვილები მიდიოდნენ დიდ მინდორში სასეირნოთ. უნცროსს ბაწრით მიჰყავდა ძაღლი და ბაბუასთან ლაპარაკობდა. უფროსნი კი უკან ჩამორჩნოდნენ და თაძაძობდნენ, სოგი ჰეხელებს იჭერდა, სოგი კი ვევაჟილებს სწევებდა. უცბათ ავარდა ქარი, და გადმოუგდო ბაბუას თავიდან ქედი. თავაზიანი შვილი-შვილები გაიქცნენ ქუდის დასაჭერათ. ამ დროს ძაღლიმაც გასწევიტა ბაწარი და ისიც გამოუდგა მათ. ბოლოს დაიჭირეს ქედი, უველა აქეთ-იქით ეწეოდა, რადგან ვეველას უნდოდა ბაბუასათვის ქუდის ძირთმევა. უნცროსი სწვდა ქუდს და ბაბუას ძთღათ დაჭელებული მიუტანა. ამასხედ გამართლდა ნათქვამი ანდაზა: უკუნური მეგობარი მტერზე უარესია*).


გ. გველესიანი.



*) დაპირებული წიგნი: „ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი“ ეგზანება გ. გველესიანს საჩუქრათ.



ზამთრის ჰერი



ირის მთა, გოდებს სამყარო,
ქარი სისინებს მწყარალია,
ცრემლით მოირწყო მიდამო,
გლოვის გაისმის ზარია!..


მდელი დასტირის სიტურფეს,
წალკოტი—ქორთა ყვავილსა,

ტყე გაძარცული—შტო-ფოთოლს—
თავისს შვილს, გულს მოწყვეტილსა!..

ცა მოკუბრული, მრისხანე
მკაცრათ დასცქერის არესა,
შეშინებული ჩიტუნა,
მიფრინავს უცხო მხარესა!..

დაობლებულა ქვეყანა:
შაგებში გახვეულია,
გული კვნესს, გული ქვითინებს,
ნათელ მზის მონატრულია!..

გელა.



გიორგობისთვე



იორგობის თვეს ხალხი იმიტომ უწოდებს ამ შემოდგომის თვეს ნოემბერს, რომ ამ თვის ათში მოდის წმ. გიორგის დღესასწაული. თუმცა წმ. გიორგის დღესასწაულს ქართველი ერი რამდენჯერმე დღესასწაულობს წლის განმავლობაში და სწამს, რომ წმ. გიორგის სახელობაზედ სამას-სამოცდასამი ეკლესიაა აწენებული საქართველოს ყველა კუთხეში, დაწყებული შავი ზღვის პირიდან, ლეკეთის სამზღვრებამდე, მაგრამ

ათს გიორგობის თვის დღესასწაულს გარდამეტებულის სასოებით სცემს პატივს. ამ დროს ყველა ოჯახი სავსეა ყოველის ღვთის მოწყალებით: პური, ღვინო და სხვა მოსავალი ახლად შეტანილია სახლში, მუშაობა სოფლისა თითქმის გათავებული გულუხვი და დასვენებული გლეხი სიხარულით მიდის თავისის მწყალობელის და მფარველის წმინდანის სალოცავათ,

თუმცა გიორგობის დამდეგს კარგა საგრძნობლათ ცივა, ბევრ იმ მიუდგომელ და მალალ მთებზედ, რომლებზედაც მომეტებულათ არიან აშენებულნი წმ. გიორგის სახელობის ეკლესიები, ჯკვე თოვლი სდევს, მაგრამ ეს არ აშინებს მორწმუნე ადამიანს და ის გაბედულათ მიდის მთელის ოჯახობით, რომელთა შორის სულ პატარა ბალებიც არიან. გლეხი არ ებუება არც ქარ-ბუქს, არც სიცივეს, არც გაუვალ ტა



ლახიან გზებს, არც მიუდგომელ კლდეების ნაპრალებს, მიდის, მიიზღაბნება თავის ჭრიალა ურმით რამდენიმე დღეს, მიმდგომის წმიდა გიორგი ცხოველო, შენ სანახავათ მოველო, ცოლშვილი გამისადეო“ და როცა მივა ყოველ გამოვლილ მწუხარებას იფიწყებს. ანთებს ეკლესიის გაღავანში დიდ-დიდ ცეცხლს და ჰკლავს სამღრთო მოტანილ ბატკანს და გემრიელ წვადებს აშიშხინებს, მოიწვევს აქვე მოსულ ნაცნობ-ნათესავს და შეექცევა, მხიარულობს. ლამაზია ეს ღბინობა მიუვალ კლდეზედ გაშლილი, დიდის ცეცხლით და ჩირაღდნებით განათებული და ვინც ერთხელ დასწრობია ამ პოეზიით სავსე ჯვარობას, ის უთუთოთ მფორეთაც მოინდომებს დასწრობას.

წმ. გიორგის რწმენა ხალხში და იმის სახელის პატივისცემა, სხვა და სხვა თქმულობებით არის სავსე. სხვათა შორის ამბობენ, რომ იყო დრო, როდესაც საქართველოში მდინარეები სულ დაშრენო, ველ-მინდორი გახმა, ხეებს ფურცელი გასცივდა. ყოველი მკენარეულობა მოისპო და ხალხი და პირუტყვი წყურვილით და შიმშილით იხოცებოდა. მაშინ წმ. გიორგი, სახელ მორკმული გმირი, ქვეყნის შემწეთ აღმოუჩნდა, თავისი ძლევა მოსილის კლავით შემუსრა ის წყეული ვეშაპი, რომელიც ყველა მდინარეთ დაჰპატრონებოდა და ერთ ცვარ წყალს არსად უშვებდაო. მას შემდეგ ქვეყანა ისევ აჰყვავდა, პური და სხვა ჭინახული მრავლისაგან მრავალი მოვიდა, არე მარე კვლავ გამშვენიერდა და მწვანით შეიმოსა, ახოვანი ტყეები ამოცნდა და მთა და ბარი დაამშენა. იქნება ამისათვის ჰქვიან საქართველოს გიორგია, იქნება ამისათვის არის იმის სახელის ეკლესიებით სავსე მთელი ჩვენი ქვეყანა, იქნება იმიტომ არის ნახატი ყოველი ეკლესიის ხატი და კედელი, ჯარის წინ გამძლოლი ბაირალით წმ. გიორგი. აგრეთვე საეკლესიო დროშებზე გმირ-გმირად გამოსახულია, თეთრ ცხენზედ მჯდომი, ხელში უშველებელის შუბლახვრით, რომლითაც შუაზედ აპობს საშინელს გველაშაპს!

ხალხის ლოცვა და წყევაც ყოველთვის წმ. გიორგის სახელით არის სავსე: ვის თქვენგანს არ გაუგონია მშობლის ლოცვა დაძინების დროს: „გწყალობდეს და გფარველობდეს, შეილო, სამას-სამოცდა-სამი წმ. გიორგო“ და წყევლაც და კრულვაც ოჯახის მტრისა ამავე სახელით, „დალახვროს წმ. გიორგის მკვეთრმა ლახვარმა მისი თავი და ტანო“.

მკ. გაბაშვილისა.

ლომის ლეკვი.

(დასასრული)



ერთს მაისის დილაზედ ჯარუსი სანადიროთ წავიდა. ჯარუსის ცოლი, არისტო და სოსია ბაღში ჩავიდნენ ბოსტანის გასაპარგლათ. სახლში მარტო კუდურა დარჩა. ყმაწვილს მალე მოსწყინდა მარტო ყოფნა და ზოუნდა თავის „ფაფარას“ ნახვა. ჩუმათ მიიპარა გალიასთან ღე დაინახა, რომ მისი „ფაფარა“

დედას ელერსებოდა, ლოკავდა, ხან თავზედ, ხან კისერში, ეთამაშებოდა ტორებათ. კუდურამ დაუძახა: „ფაფარ! ფაფარ!“ „ფაფარამაც“ მოიხედა ყმაწვილისაკენ და ალერსიანი წკმუჭუნით დაიწყო. კუდურა სწრაფათ გაბრუნდა, შეირბინა მამის ოთახში, მონახა გალიის გასაღები და სწრაფათვე გამობრუნდა. მან გალიის კარები გააღო, ეგონა, რომ ორივე მოშინაურებული იყვენ, „ფაფარა“ და დედა მისი; ყმაწვილს ვერ წარმოედგინა თუ მისს გულწრფელ მეგობრობას „ფაფარა“ და დედა მისი უღალატებდნენ. გააღო თუ არა კარები, გამოვარდა „ფაფარა“ და ალერსით დაუწყო კუდურას ხელების ტლეკა. „ფაფარას“ დედამ რომ ღია კარები დაინახა ელვასავებ გამოვარდა. ერთი კი დააპირა პატარა კუდურასთვის წაველო ღონივრათ ბრჭყალები, მაგრამ რადგანაც „ფაფარა“ ელერსებოდა, აღარა ავნო რა, გაიხედა ერთი-ორჯერ და რომ იგრძნო თავისუფლება—გაიმართა წელში, ერთი მედიდურის ზმით დაიღრიალა, ისკუპა და ლობეზე გადახტა. „ფაფარამ“ შეხედა დედას, ისიც გახტა-გამოხტა, მივარდა კუდურას, ენა გადაუსვა სახეზე, თითქო გამოსათხოვრათ აკოცაო. ისკუპა და დედაზედ სწრაფათ გადახტა ლობეზე. ორივენი ქარით გაექანნენ თავიანთ საყვარელ და სანატრელ დაბურულ ტყისაკენ.

კუდურამ დაიწყო წივილ-კივილი, პატარა სახეზედ ხელებს იცემდა, — ვაი, დედა, რაღა ვქნა, ვაი... დედიკო... შველე... მამა მომკლავს, მიშველეთ... ტირილზე დედა და ძმები მოცვრდნენ. ნახეს რომ ლომები გაქცეულიყვენ და მართლაც ბევრი სცემეს საწყალ კუდურას. ყმაწვილი გრძობდა თავს დამნაშავეთ და ცრემლები ღაფა-ღუფით გადმოსდიოდა თვალებიდან. ეს ამბავი მეზობლებმა მალე გაიგეს და ყველამ თავი მოიყარა ჯარუსის ეზოში, ჰქონდათ ერთი განგაში: ზოგი ყმაწვილს ამტყუნებდა, ზოგიც იძახდა, რომ ჯარუსმა ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს, რომ ლომებმა ბავშვი არ შექაშესო. მზემ დასავლეთისკენ გადაიხარა, — ჯარუსი რომ გამოჩნდა; შეხედა ეზოში თავმოყრილ ხალხს და შეშინდა. მოაქენა ცხენი, იფიქრა ვაი თუ ლომებმა რაიმე აგნეს ჩემ პატარა კუდურასაო. მოვარდა სახლში და მალე შეიტყო ყველაფერი. მეზობლები რომ არ შესწრებოდნენ, ჯარუსი კუდურას ძალიან გალახავდა.

გავიდა ერთი თვე ლომების გაქცევის შემდეგ. კუდურა შეირიგა მამამ. ერთხელ ჯარუსი სანადიროთ მოემზადა. უფროსმა ვაჟმა არისტომ აიხირა: უნდა წაგყვე, მამა, სანადიროთაო, გინდა თუ არა წამიყვანეო. არისტოს სოსია აჰყვა — სოსიას პატარა კუდურა, შემოეხვივენ მამას და ეხვეწებოდნენ: მამილო! ახლა ხომ ლომებზედ არ მიდიხარ სანადიროთ, წაგვიყვანე, შენი ჭირიმე, მამა-ჯან... წაგვიყვანე. — ჯარუსი სოსიას და კუდურას გაუწყრა. არისტო წაიყვანა. დარჩენ დამა ატირებულნი. ჯარუსი და არისტო ჭიშკარში გავიდნენ თუ არა, სოსიამ და კუდურამ გადასწყვიტეს შორი ახლო გამოსდევნებოდნენ ისე, რომ მათ არ დაენახათ ესენი. ასეც მოიქცნენ. გამოეპარნენ დედას და შორი-ახლო მისდევდნენ ჯარუსს და არისტოს. კარგა ხნის სიარულის შემდეგ, ჯარუსმა და არისტომ მიაღწიეს ტყის პარას და მიიმალნენ ტყეში. ეს გაეხარდათ სოსიას და კუდურას. ახლა კი სირბილით გამოუდგნენ უკან. მივიდნენ ტყის პირს და კვალ და კვალ მიჰყვებოდნენ, შემდეგ პატარა ბილიკი ნახეს და გაჰყვენ ამ ბილიკს. მირბიან რაც კი ძალ-ღონე შესწევთ, მაგრამ არისტო და ჯარუსი ვეღარ დაინახეს. სოსია და კუდურა თანდათან ღრმით შედიოდნენ უდაბურს ტყეში. ბოლოს ბილიკი გათავდა. მათ



გვერდზედ გადაუხვიეს და მეორე ბილიკი ნახეს. იარეს ამ ბილიკით, ეგონათ აი ახლა დავინახავთ არისტოს და მამას — აი ახლაო... მირზიან, მაგრამ არისტო და ჯარუსი არსად სჩანდნენ. კუდურას და სოსიას მოშივდათ, დაუწყეს ბალახებს ჭამა. ისინი თან მირზოდნენ ბილიკით, თან ბალახებს სწყვეტდნენ და სჭამდნენ. ბოლოს ეს ბილიკიც გათავდა. გაუხვიეს კიდევ გვერდზე იქნებ, მეორე გზა ვნახოთო, მართლაც, კარგა ხნის ძებნის შემდეგ, ნახეს სხვა ბილიკი, რომელიც მალე გათავდა. ახალი გზის ძებნაში უფრო შუა გულ ტყისაკენ მიექანებოდნენ, სულ დაიბნენ. მზე დასავლეთისკენ გადახრილიყო კიდევ. ბავშვებმა მორთეს ტირილი. დაიწყეს ძახილი: მამა!.. მამა!.. არისტო!.. არისტო!! მამამა!! ოოო... მამამა!.. მაგრამ არსაიდან პასუხი არ ისმოდა. პატარა ბავშვების ხმა იკარგებოდა უზარმაზარ უდაბურ ტყის სივრცეში... ბავშვები შიშმა მოიცვა, თან საშინლათ დაქანცულიყვენ სირბილით, შიოდით კიდევ, ძალ-ღონე გამოეღიათ, ერთ ღიდ ხის ძირში დაეცნენ, გადაეხვივნენ ერთმანეთს და მორთეს გულამოსკვნილი ტირილი. პატარა კუდურას ფეხსაცმელი და წინდები შემოხეოდა და პატარა ფეხები მუხლებამდე ეკლებისაგან მთლათ გასისხლიანებული ჰქონდა. სოსია წამოდგა და უთხრა: — კუდურავ! მგონი ჩვენ აქედამ მოვედით, წამო, ჩქარა, იქნებ სახლში მივიდეთ. გაუდგნენ ხელ-ახლათ გზას, მაგრამ სულ სხვა მხრისკენ, თანდათან გაუვალ ტყისკენ მიდიოდნენ. კუდურა საცოდავათ, ზღაპრით მისდევდა სოსიას. ხან ეკალს წაედებოდა, ხან შტოებს წააწყდებოდა და სიმწარით ჩაიკეცებდა. თანდათან ბინდდებოდა. ბავშვებს სრულიათ გამოეღიათ ძალ-ღონე, ვეღარ შესძლეს სიარული, ორივენი ისევ ჩასხდნენ ტყეში და უნუგეშოთ ერთმანეთს გადაეხვივნენ და ისე მიეძინათ.

ჯარუსი და არისტო, შევიდნენ თუ არა ტყეში, დაადგნენ ერთ ნადირის კვალს, მიჰყვენ მას და კვალმა ძალიან შორს წაიყვანა, მაგრამ ვერაფერი ნახეს. კვალი მალე დაეკარგათ. ახლა სხვა ნადირებს დაუწყეს ძებნა, ხან აქეთ მიდიოდნენ ამ უდაბურ ტყეში და ხან იქით, გზა დაებნათ მათაც. მზე სამხრობისათ გადასულიყო. მამა-შვილმა გადასწყვიტეს სახლისაკენ გაბრუნებულიყვენ, ცხენებიც ძალზედ დაღალული ჰყვან-

დათ. ჯარუსი წინ მიუძღოდა არისტოს და გზას იკვლევდა, მას არისტო მისდევდა. ერთს ადგილს ჯარუსის გამოცდილი ცხენი უცვბ შესდგა, დაიფთხვინა, თავი ასწია და ყურები აცქვიტა. არისტოს ცხენიც რაღაც დაფეთებული სწრაფათ ვვერდზე გადახტა და კინალამ გადმოაგდო. ჯარუსმა თოფი ძოიძარჯვა, მიიხეღ-მოიხედა, ვერაფერი ნახა. შემოჰკრა ცხენს მათრახი, ცხენმა გადადგა თუ არა ერთი ნაბიჯი სწრაფათ გადახტა გვერდზე, და ჯარუსს ხეზედ მიარტყმევინა თავი, თავბრუ დასხმული მონადირე ძირს ჩამოვარდა, მან წამოდგომა ვერ მოასწრო, რომ ზედ დაახტა გაშმაგებული ლომი. არისტოს ფერი წიუვიდა შიშისაგან და დაიკვილა: ვაი! მამა! ჯარუსმა ხმაღს მოისვა ხელი, მაგრამ ლომმა სწრაფათ გააგდებინა იარაღი, ამ დროს მეორე ლომი მივარდა არისტოს, შექნეს საშინელი ღრიალი მამა-შვილმა. ჯარუსს ლომმა მძლავრათ გაუყარა ბარძაყებში თავისი ბრჭყალები და უკბინა ძარჯვენა მკლავზე.

ყვირილმა გამოადვიძა კუდურა და სოსია, რომელნიც თურმე აქვე ახლო იყვენ მიძინებულნი. დაუგდეს ყური და არისტოს ხმა იცნეს. კუდურას დაავიწყდა ყველაფერი და იმ მზრისკენ გაექანა, საიდანაც ხმა მოისმოდა. კუდურამ დაინახა, რომ მამა მისი ლომს წაექცია და საბრალოთ ძიძგინდა. აგერ კიდევ არისტო, მეორე ლომს ჩაეგდო ბრჭყალებში. შეშინდა კუდურა, დაიკვილა. ამ ხმაზე მოიხედეს ერთმაც და მეორე ლომმაც და დაინახეს პატარა ბავშვები. კუდურას გული წაუვიდა და უგრძნობლათ დაეცა ძირს, სოსიაც მასთანვე დაეცა.

ეს მეორე ლომი, რომელიც არისტოს ბურგნიდა, მივარდა პატარა კუდურას, დაინახა თუ არა გულწასული კუდურა ერთი დაიღრიალა შემზარავის ხმით, ადარ მიუხედიან არისტოსაკენ, მივარდა პირველ ლომს და ჯარუსი გააშვებინა. ჯარუსი სისხლისგან იცლებოდა, ბარძაყები და მკლავები საშინლათ ჰქონდა დასახიჩრებული და უგრძნობლათ ეგდო. არისტოს იმდენი ვნება არ ჰქონდა მიყენებული, რამდენადაც შიშისგან წასვლოდა გული. ლომი კვლავ მოუბრუნდა პატარა კუდურას, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, სველი ენა მოუსვა სახეზედ, პატარა ქალი გონს მოვიდა... შეშინებულმა უცნაურათ წამოიძახა: „ფაფარ!“, „ფაფარ!“, „ფა...ა...ფარ!“ და ისევ



გრძნობა დაკარგა. ამ დროს პირველი ლომი ახლა სოსიას მივარდა ის იყო უნდა დაეგლიჯა, როცა მეორე ლომი წინ გადაეღობა, შეექნათ ამათ ბრძოლა, მაგრამ მეორე ლომი უფრო ახალგაზნა, ღონიერი იყო და მალე დასძლია პირველს. ბებერი ლომი მოშორდა ამათ და იქვე ჯარუსის ცხენს მივარდა, რომლის სადავეც ხის შტოს მოსდებოდა და სპრალოს არსად უშვებდა, ვაბრაზებული ცხენს დაუწყო გლეჯა... ახალგაზნა ლომი კი ამ დროს მიუბრუნდა კუდურას და მისს გასისხლიანებულ ფეხებს ლოკვა დაუწყო, კუდურა კვლავ გონს მოვიდა, აახილა თვალები და დაინახა წამოწოლილი ლომი ფეხებს ულოკავდა. ისევ უნებურად წამოილულლულა: „ფაფარ!“ შიშისგან მთელი სხეული აუკანკალდა. ფერი წაუვიდა, თვალები გაუშტერდა და ვაშტერებული მისჩერებოდა ლომს. კუდურამ იცნო, რომ ის იყო მისი საყვარელი „ფაფარა“, რომლის გულისთვის ბევრი ვაი ვაგლახი გამოიარა. ახლა ბავშვს ცოტა თითქო ღონე მიეცა, და მისდა უნებურათ იძახდა: „ფაფარ, ფაფარ, ფაფარ!“ ლომი კი ძალზე ბეუტავდა მოელვარე თვალებს, კუდს აქიცინებდა, და რითაც კი შეეძლო ანღგეშებდა. კუდურა დარწმუნდა, რომ ეს ლომი მისი „ფაფარა“ იყო, შიში მოსცილდა, ადგა და თავზედ ხელი მოუფათუნა, ლომმა თავი პატარა კუდურას გულზედ მიახუტა და გრძნობიერათ კუდი გააქნია. ახლა კი კუდურა საჩქაროთ მოუბრუნდა გულწასულ მამას და დაუყვირა თვალცრემლიანმა: „მამილო გამოფხიზლდი, გენაცვალე, ნუ გეშინიან, ჩემი „ფაფარა“ არის. მამილო, ნუ გეშინიან, გამოიღვიძე!“ მამასთან რომ ვერაფერი გააწყო არისტოს მივარდა, მაგრამ ვერც ეს მოიყვანა გონს. შემდეგ სოსიას მივარდა. ფაფარა ერთგული ძაღლივით უკან მიჰყო-მოჰყვებოდა. ბებერი ლომი კი ტკბილათ შეექცეოდა ჯარუსის ცხენს, რომელიც სწრაფათ დაეგლიჯა. კუდურამ სოსია გონს მოიყვანა. ახლა ორივემ დაუწყეს არისტოს გამოფხიზლება. არისტოც აღერსით და კოცნით გონს მოიყვანეს. კუდურა თან „ფაფარას“ ტკბილათ უძახდა: ჩემო, „ფაფარა!“, „ფაფარა!“ მას ეშინოდა ბებერი ლომი არ მოვარდნილიყო და არ შეეჭამა ისინი. „ფაფარაც“, როგორც კი გაიგონებდა თავის სახეოს, აღერსიანათ კუდურას ეხახუნებოდა. შემდეგ სამივე მივიდნენ მამასთან. ჯარუსი გონს მოიყვანეს. ჯარუსმა თვალეები გაახილა. შეხედა, რომ ბავშვები ყველა აქ იყვნენ და მათ შორის ლომი, ეგონა მოჩვენებააო და ისევ გონება დაკარგა. კუდურამ კვილი დაიწყო, და თვალცრემლიანი უძახოდა მამას: მამაჯან, ნუ გეშინია მე ვარ, შენი კუდურა. ჩემი „ფაფარა“, ნუ გეშინია. ჯარუსმა კვლავ გაახილა თვალეები. კუდურამ კიდევ საჩქაროთ მიიძახა: ნუ გეში.



ნია, მამავ, ჩემი „ფაფარა“ არის, ნუ გეშინია. ჯარუსი თანდა-
 თან გონს მოვიდა, მაგრამ თავი ისევ სიზმარში ეგონა. კუ-
 ლურა ცხარე ცრემლებს ღვრიდა. „ფაფარა“ კი მისჩერებოდა
 კულურას. მას თვალწინ წარმოუდგა თავისი ღრიალი დაქრილი
 დედის გვერდით, უსათუოთ გაახსენდებოდა, როგორ კულურას
 დაუმეგობრდა, მისი მოფერება და ისიც ღრიალს მოჰყვა. კუ-
 ლურამ და მისმა ძმებმა ერთის ვაი-ვაგლახით გონს მოიყვანეს
 მამა. ჯარუსიც დარწმუნდა, რომ ის სიზმარში არ არი. მას
 იარები შეუხვიეს. მერე კულურამ უთხრა: მამილო, ჩემმა ფა-
 ფარამ დაგინსა შენც და ჩვენც, ეხლა ნულარ გეშინიან. ჯა-
 რუსი როცა სრულებით გონს მოვიდა, „ფაფარა“ მივიდა კუ-
 ლურასთან ალერსიანათ სახეზედ ენა გადაუსვა, გვერდებით
 გაეხახუნა, მერე გადახტა მაძლარი ლომისაკენ, რალაც წაუ-
 ბურღლუნა, მაძლარი ლომი სწრაფათ წამოვარდა ზეზე, გახ-
 ტა შორს და სწრაფათ მიიძალა ტყეში. ფაფარა ერთი კიდევ
 მივარდა კულურას, ალერსით თავი გულზედ მიადო, მერე
 თითქო გამოსათხოვრათ აკოცაო, ენა გადაუსვა სახეზედ, გა-
 დახტა და ისიც მიიძალა ტყეში.

ჯარუსი და მისი შვილები იმ ღამეს იქვე დარჩენ, რა-
 ღვან უკვე ღამე დადგა. დაანთეს ამათ ცეცხლი, ჯარუსს
 შვილებმა ერთი კიდევ კარგათ შეუხვიეს დაკბენილი იარები
 და მეორე დღეს შვილების და ჯონის შემწეობით ჯარუსი
 სახლისაკენ გაუდგა გზას. დიდის გაჭირვებით, საღამოს უამს,
 მოაწიეს ამათ სახლამდის. ჯარუსის ცოლი თმა გაწეწილი;
 მტირალი დახვდათ სახლში. მეზობლებს სანუგეშებლათ თავი
 მოეყარათ. მივიდენ ესენი სახლში და ჯარუსმა უამბო ყველა-
 ფერი. როგორ გადაარჩინა კულურამ ის და თავისი ძმები. ეს
 ამბავი მთელმა სოფელმა გაიგო. ჯარუსმა მღვდელს სამად-
 ლობელო წირვა გადაახდევინა და ღმერთს აღთქმა მისცა,
 რომ ამიერიდან ის აღარ ინადირებდა. მეზობლები აღტაცე-
 ბაში იყვნენ და ჰკოცნიდენ კულურას. ჯარუსმა მორჩენის
 შემდეგ იწყო მიწის მუშაობა და ამ შრომით არჩენდა მთელ
 ოჯახს.

(გადმოკეთებული)

ილიკო ფალიანი.



დათუნის ოინები

სკოტფორდისა.

(ვუძღვნი ნ. კ—ძეს.)



პატარა დათუნია ჯერ სამი თვისაც არ იყო, როდესაც მედგარმა მონადირის ტყვიამ მის დედას მოუსპო სიცოცხლე და ობლათ დასტოვა. მოაშორა მას ის მასწავლებელი, რომელიც ასწავლიდა, რომ დამპალ კუნძებში ჭიანჭველების გემრიელი კვერცხები არისო, ასწავლიდა, რომ მარწყვი ძლიერ გემრიელი საჭმელია, მაგრამ

ბევრის ჭამა მაწყინარია და ამ ნაწყენის მორჩენა კედარის ფესვებით შეიძლებაო, ასწავლიდა კიდევ, რომ ბაყაყი და თევზი ძლიერ მარგებელი საჭმელია, იგი ზრდის და აყოჩაღებს დათვის პატარა ბელსაო.

ერთს შემოდგომის დღეს, დაობლებულმა დათუნიამ, იგრძნო რაღაც სასიამოვნო სუნნი, რომლის გაგონებაზედაც მისი პატარა ცხვირის ნეშტოები საშინლათ დაეპრანჭა.

დათუნია მაშინვე გაიქცა იქითკენ, საიდანაც ქარს შოქონდა ეს სასიამოვნო სუნნი. ცოტა ძუნძულის შემდეგ, უცბად ის წააწყდა ხეზედ ჩამოკიდებულ თაფლის ფიქსს, საიდანაც წვეთ-წვეთათ მოწითანო თაფლი ძირს ჩამოდიოდა.

თაფლის დანახვაზედ დათუნის კბილები აუკაწკაწდა, ტუჩები აუწმაკუნდა და სიამოვნების ნიშნათ ბურტყუნი დაიწყო. სხვა დათვი მაშინვე შეამჩნევდა აქვე დაგებულს მახეს, მაგრამ ამან ეს ვერ შეამჩნია, რადგან ადამიანების სიბოროტეზე მისთვის თავის დღეში არავის არათფერი ეთქვა.



დათუნამ ბევრი აღარ აცალა, დადგა უკანა ფეხებზე და წინა თათები გემრიელ საჭმლისკენ გაიწოდა. მახე დაეცა და მოიყოლა მისი უკანა მარცხენა ფეხი.

მთელი ორი დღე და ორი ღამე იბრძოლა საბრალომ; გაბრაზებული კბილებით ღრღნიდა უღმობელ რკინის მახეს, სთხრიდა ბრჭყალებით თავის გარშემო მიწას, მაგრამ თავი ვერ გაინთავისუფლა.

მესამე დღეს, განთიადისას მივიდა მონადირე, რომელსაც დაეგო მახე. მონადირის დანახვაზედ, დათუნამ მოიკრიბა უკანასკნელი ძალდონე და გამოგლიჯა ფეხი მახიდან, მაგრამ მსხვერპლათ კი შესწირა მახეს სამი თითი და ვეებერთელა ნაგლეჯი ტყავი.

გაიქცა, მაგრამ შორს არ წასულა. დაქანცული მალე დაიჭირეს და მთელი ნახევარ წელიწადი ჯაჭვით ჰყავდა მონადირეს თავის სახლის წინ მიბმული.

ამ ექვსი თვის ტყვეობას დათუნისათვის უბრალოთ არ ჩაუვლია, როგორც გამოჩნდა ეს ბოლოს.

ადამიანისა და ძაღლების ნაცნობობა ძლიერ გამოადგა შემდეგში ყაჩაღობის დროს. გამოადგა აგრეთვე სახლისა და ეზოს გაცნობაც.

რამდენადაც დათუნის ადამიანისადმი სიმძულვარე ემატებოდა, იმდენათ შიში ეკარგებოდა. ერთს ზამთრის დღეს, დათუნამ შეამჩნია, რომ თასმის საყელო, რომელზედაც ჯაჭვი ჰქონდა შებმული გაცვეთილიყო. მან ბევრი აღარ აცალა, გაინთავისუფლა თავი და მოჰკურცხლა ტყისკენ. მეორე დღეს მისი კვალი და ნახეს თოვლზედ. მონადირემ დათვის დაკარგვაზე ბევრი არ იდარდა, რადგანაც ამ ცხოველს ძლიერ ცუდი ხასიათი ჰქონდა.

გაიქცა დათუნა, მაგრამ თავის სახელი დავიწყებას არ მისცა. სამი ოთხი დღის შემდეგ იგი დაეცა მახლობელ მემამულის საღორეს და ვეებერთელა გასუქებული ნეზვი მოიტაცა. ამის შემდეგ მის სახელს „ხეიბარს“, რომელიც მას სამუდამოთ შერჩა, უფრო მორიდებით იხსენიებდენ.

სწორეთ იმ შემოდგომას, როცა „ხეიბარი“ გაიქცა, იქვე ახლოს დასახლდა ერთი მემამულე თავის ცოლით. ეს მემამულე იყო დავით გენდერსონი. დავითმა ამოიჩნია მშვენიერი



სახნავი ადგილი წყლის პარას, პატარა ტყით და სათიბებით. ამორჩევის დროს დავითმა არ იცოდა, რომ სწორედ ეს ადგილი მოსწონებოდა „ხეიბარს“ და აქ დაბინავებულყო. ახლო-მახლო ბლომად მცხოვრებნი იყვნენ და დათუნა ხანდახან პირს იტკბანურებდა მსუქანი ცხვრის ხორციით და ხშირათ თაფლითაც.

დავითის ქორწილის დროს, მის ცოლს, მშვენიერს მოლღოს, სხვათა შორის, საჩუქრათ მიატოვეს, როგორც ახალ მოსახლეს, ერთი, კარგი ჯილაგოს გოჭიცი. მოლღიმ ეს გოჭი ახალშენში თან წაიყვანა; უვლიდა კარგათ და ხელხედაც შეიჩვია. ამ გოჭს მოლღიმ, არ ვიცი კი რათ, „ვალტახარი“ დაარქვა.

ოქტომბრის დამლევს, თოვლი რომ პირველათ მოვიდა, დავითის სახლი მზად იყო. საქონლისთვის მშვენიერი, ფართო თავლა გაეკეთებინა, მხოლოდ „ვალტახარისთვის“ კი ცალკე საღორე.

ერთს საღამოს, ვახშის შემდეგ, როდესაც მოლღიმ ააღაგა ქურჭელი, ცოლ-ქმარნი დასხდნენ ბუხრის წინ და დაუწყეს ყურება მოგუგუნე ბუხარს, რომელიც შორს ისრულა და ნაპერწკლებს და მხიარულათ ლულუნებდა.

ცოტა სიჩუმის შემდეგ, უცბათ დავითმა უთხრა ცოლს: — იცი, რას გეტყვი, მოლღო, მოდი შევებამ ხვალ ხარებს ურემში და გადავალ მეზობელთან დიდი ქვების სათხოვნელათ; ხორცი დავამარილოთ, თორემ მერე გვიანლა იქნება, თოვლი დიდი მოვა და ჯრმით ველარსად წავალ. ამასთან დროც არის ჩვენი პატარა ხარი გამოვქნათ, ვიდრე დიდი ყინვები არ დამდგარა. მართლა, რა გითხრა კიდევ, დღეს ჩვენი ტყის ნაპირში ვეებერთელა დათვი ვნახე! ახ, ვნანობ, რომ თოფი ხელში არა მქონდა, ხეხედ ეყუდა, თორემ უეჭველათ მოვკლავდი. ვიდრე მე თოფს ავიღებდი დათვი მიიძალა ტყეში.

— ჰო, მართლა, მეც ვნახე, მიუგო მოლღიმ, — ისეთი დიდი იყო, რომ იმის დანახვაზედ კინალამ გული წამივიდამე ვიფიქრე, ეს უთუოდ „ხეიბარი“ იქმნება მეთქი. ხომ გახსოვს სენდი მაკლაკმა რომ გვიამბო „ხეიბარზე“?

— კარგი ერთი! უთხრა დავითმა ცოლს. მე თავის დღეში არ დავიჯერებ, რომ სადმე მაგისთანა საკვირველება

არსებობდეს. შესაძლებელია მართლა იყოს დათვი ერთ ფეხზე ორი თითით, მაგრამ ისიც ნუ დაგავიწყდება, ჩემო კარგო, რომ მოხუცებულ მონადირეებმა იმისთანა ამბების მოყოლა იციან ხშირად, რომ აღამიანს თმა ყალბხედ შეუდგება და თითონ კი ეს სრულიადაც არა სჯერათ. დღე ის „ხეიბარი“ ჩვენ გვეწვიოს, მე ძალიან მოხარული ვიქნები; მაშინ ზამთრისთვის ლორი ბლომათ გვექნება და კარგი ტყავიც⁴.

დავითმა მეორე დღეს ურემი შეაბა და გაუდგა ვზას. მისი მკზავრობა მთელი დღე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ მოლლი ისე გაერთო საქმით, რომ ვერც კი შეამჩნია როგორ ჩამოღამებულებოდა და ვახშმის მომზადების დროც მოსულიყო.

მოლლი მხიარულათ ღიღინებდა, საქმობდა. ხან-და-ხან კარებთან მივიდოდა, შესწყევტდა სიმღერას და ყურს დაუგდებდა ურემის კრიალის ხმა ხომ არ ისმისო.

— რატომ აქამდის არ მოდის? აგერ მთელი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც ის აქ უნდა ყოფილიყო. დამაცადოს...

მოლოლის ამ სიტყვაზედ ხმა ჩააკმედინა „ვალტაზარის“ საშინელმა ჭყვილიმა.

ეტყობოდა იმის თავს რაღაც საშინელი ამბავი იყო, რომ ასე საშინლათ ღრიალებდა.

— ეს უთუოდ ისევ მაჩვ-ზღარბაა, გაიფიქრა მოლლიმ, წამოისხა თავზედ თავშალი, ხელში, ყოველ შემთხვევისთვის აიღო ცოცხი და გამოვარდა კარში.

მოლლიმ მოუხვია თუ არა საღორისკენ, უცებ წააწყდა ვეებერთელა ძუ დათვს, რომელიც უკანა ფეხებით მიდიოდა, წინა თათებით კი მაგრა ჰყავდა დაბლოქილი ცოცხალ-მკვდარი „ვალტაზარი“.

მოლოლის შიშისგან თავზარი დაეცა. ერთი ორი ნაბიჯი კი უკან გადადგა და გაჩერდა თოფ ნაკრავით. საცოდავმა, დაკარგა ხმაც და მოძრაობის უნარიც.

დათვიც არ იყო ნაკლებათ დამფრთხალი. შეშინებულმა დააგდო თავის მსხვერპლი და ერთი საშინლათ წაიბურტყუნა. დღეს პირველათ ნახა აღამიანი მას შემდეგ, რაც ტყვეობიდან მონადირეს გაექცა. თავის უნებურათ მოაგონდა ის დი-



ლა, როცა ტყვეთ ჩავარდა და ყოველი უბედურება რაც თავს გადახდა მას შემდეგ. დათმა ერთი ღონივრად კი შეუმოუქნია თათი ამ ქალს და უგონოდ გადაისროლა ბუჩქებისკენ; შემდეგ აიღო, აუჩქარებლივ, თავის მსხვერპლი და გაუდგა გზას.

ნახევარ საათის შემდეგ გაისმა ურბის ჭრიალის ხმა და დავითის მხიარული ძახილი: „ეი, მოლლი, სადა ხარ, მზად არის ვახშამი თუ არა? მე ისე მშია, როგორც მშიერ მგელს“.

ერთი წუთიც და ურემი ეზოში შემოვიდა. დავითი გაფაციცებული უყურებდა სახლს დარწმუნებული, რომ კარებში გამოჩნდება მოლლი სანთლით ხელშიო, მაგრამ დავითი გააოცა სანარისებურმა სიჩუმემ და სიბნელემ.

— მოლლი, ჰაა, მოლლი, იძახოდა შეშინებული დავითი.— არ გესმის?! გძინავს, თუ რა ამბავია!? გამოიხედე, ქალო, საშინლათა ვარ დაქანცული და მშიერი.

ხარები კარებთან მივიდნენ და გაჩერდნენ. დავითი ურმიდან გადმოხტა და აღელვებული შევიდა სახლში. რა დანახა სახლში ცეცხლი ჩამქრალი და ოთახები ცალიერი, ძლიერ შეშინდა. მას თვალ-წინ წარმოუდგა საშინელი სურათი: ვითომც მოლლის ტყეში აერია გზა, წავიდა შორს და ვახდა მსხვერპლი მშიერი მგლისა და ან სხვა ნადირისა.

თუმცა ძლიერ ბნელოდა, მაგრამ შეიძლება თოვლის სინათლეზედ კიდევ გაერია რამდენიმე ნაბიჯზე საგანი. დავითმა აიღო ხელში თოფი, ხარები დასტოვა ისევ შებმულები და გაიქცა საძებნელათ.

— მოლლი! ჰა, მოლლი! — გაიძახოდა დავითი და შესწყვეტდა ხან და ხან სუნთქვას, რომ გაეგონა საიდანმე თავის მოლლის ხმა. მაგრამ ექთად-ერთი პასუხი მის ძახილზედ — მგლის ღმუილი იყო.

— ვერას გზით ვერ ვიპოვნი ეხლა მე იმის კვალს, — ამბობდა დავითი გამწარებული. — ჯაგებში ეხლა ისე ებნელება, როგორც ჯოჯოხეთში.

— მაგრამ იქნება თავლაში წავიდა კვერცხებისთვის, ფეხი წაუსხლტა და ვეღარ ადგა! და წავიდა დავითი თავლისკენ, თუმცა დარწმუნებული კი იყო, რომ ტყუილათ ინუგეშებდა თავს.

— არ უნდა დამეტოვებინა მთელი დღით მარტო, ქვითინით ამბობდა დავითი. — ვინ აცის, რა არ შეემთხვა. თუნდაც აქვე ახლო რომ არეოდეს გზა ამაღამ გაითოშება სიცივისაგან, მგლებსაც რომ გადურჩეს.

მოლლი თავლაში არ იყო. დავითი დადგა თავლის კარებში და ხმა მალდა დაიწყო ძახილი: — მოლლი, მოლლიო, მაგრამ გარშემო ისეთივე სიჩუმე იყო, როგორც უღაბურს ტყეში.

მაშინ დავითი, სრულიად უაზროთ წავიდა სალორისკენ და ფეხი წამოსდო მოლლის თავშალს, რომელიც მაშინ დავარდა, როდესაც დათვმა უგრძობლათ გადაისროლა მოლლი ბუჩქებში. დავითი დასწვდა თავშალს, და დაინახა თოვლზე რაღაც ზოლი. ანთო სანათური, და ნახა, რომ ეს ზოლი სისხლი იყო. ამ სისხლს მისდევდა კვალი, ცოტა ადამიანის კვალზედ მსხვილი. კვალმა და სისხლმა დავითი ყველაფერს მიახვედრეს.

მას თვალ-წინ წარმოუდგა თავის საცოდავი ცოლი მოტაცებული და ჯაგებში დათვისაგან შექმული. დავითი ფიქრობდა: მოლლი წავიდა „ვალტაზართან“ საქმლის მისატანათ, იქ დახვდა დათვი და მოიტაცა.

— ავანთებ ფარანს და მოვეწევი ბოროტს, მერე ვნახოთ ვინ ვის მოერევაო! წამოიძახა დავითმა და ის აყო უნდა მობრუნებულყო თავის სახლისკენ, მაგრამ ჯაგებიდან რაღაც ფაჩუნის ხმა გაიგო. დავითმა მკვირცხლავ წამოაყენა თოფი ჩახმახზე და გულის ფანქაღლით დაუგდო ყური.

სუსტმა მინაბულმა ხმამ: — დავით, სადა ხარ, მიშველე, მცივაო, დაგდებინეს დავითს თოფი ხელიდან და მან მოჰკურცხლა იმ მხრისკენ, საიდანაც ისმოდა ხმა.

არ გასულა რამდენიმე წამი, რომ დავითმა თავის მძლავრი მკლავებით შეიტანა მოლლი ოთახში და დააწვინა ლოგინზე.

მოლლი მაშინვე გასინჯა, მაგრამ ჭრილობა არსად არ აღმოაჩნდა. ბედზე დათვის მძლავრი თათი გვერდში მოხვედროდა და ბასრი ბრჭყალებისაგან კი დაეცვა წელზედ შემოხვეულს დიდ შალს. მხარი ცოტათი ნაღრძობი ჰქონდა.

რა წამს ირაჭრაჟა, დავითმა გასინჯა დათვის კვალი და დარწმუნდა, რომ ყველაფერი „ხეიბარზედ“ ნაამბობი ზღაპარი არ ყოფილა.

ფ. სირაძე.

(დასასრული იქნება)

მოგზაურობა ახალ აფონში



ვლისში, 1910 წელს, სასოფლო სკოლების მასწავლებლები, რიცხვით სამოცამდე ქალი და კაცი, გავემგზავრეთ ქუთაისიდან ახალ აფონში ბათუმით და დავბრუნდით ფოთით. ბათუმიდან სალამოს ჩავსხედით ორთქლის მავალში და მეორე დღეს სალამომდი აფონს მივადექით. პირველი შეხედვითვე, ეს საარაკოთ მორთული შენობებით და სხვა და სხვა მცენარეებით ადგილი გაფიქრებინებთ, რომ სწორეთ სამოთხე უნდა იყოს აქაო. გადადგამთ თუ არა ფეხს ზღვის ნაპირზე, თქვენ თვალ წინ გეხატებათ ორი ვეებერთელა წმინდა ანკარა ხელოვნური ტბა, რომელნიც სავსენი არიან სხვა და სხვა თევზებით და რომლებზედაც საარაკოთ დასკურავენ მაღალ ყელმოღერებული თეთრის და შავის ფერის გედები.

ნაპირზე გადასვლისათანავე ჩვენ შეგვიძღვენ ბერები ერთ დიდ სახლში და მოგვცეს ზედა სართულში სადგომათ ორი დიდი დარბაზი — ერთი მამაკაცებისათვის და მეორე ქალებისათვის. გვაჩვენეს სასადილო სახლი, სადაც სამი დღის განმავლობაში მუქათა, უფასოთ, შეუძლია ყოველ მიმსვლელს მიირთვას სადილ-ვანშამი და ჩაი. აქვე არის უფრო პატივცემულ პირებისათვის ცალკე სასტუმროები. ამ დღეს მოვისმინეთ ლოცვა და შემდეგ მოსვენებას მივეცით თავი.

მეორე დღეს, დილით, დავიწყეთ დათვალიერება ამ საარაკო ადგილისა. პირველათ გავყევით დასავლეთის მხრით მდებარე ხეივანს, სადაც ორ მაღალ გორაკს შუა, დელის ნაპირზე, ტყეში მიიკლავნება ბილიკი, რომელმაც მიგვიყვანა ერთ პატარა გამოქვაბულ კლდეში. ამას ეწოდება — სიმონ კანანიტის ქვაბი. ამ ქვაბის პირდაპირ, ძირს,

დელის პირად ამოქუხს მიწიდან დიდი წყარო, რომელიც ორ-სამ თვალ წისკვილს აბრუნებს. ეს წყარო დაქვედნავე არის გაყვანილი ცემენტის რუში და მიდის პირდაპირ ერთის კლდის თავზე, რომლის ძირშიაც სდგას სიმონ კანანელის ეკლესია. თვითონ ამ ციცაბო კლდეზე კარგათ ემჩნევა დიდი ხნის მხატვრობა. ამ კლდეზედ არის ვადმოკიდებული ძირამდის დიდი თუჯის მილი, რომლის საშალღებითაც ზევიდან ვარდება ძირს წყალი. ამ ვადმოვარდნილ წყალს მოჰყავს მოძრაობაში ამავე კლდის ძირში მიღგმულ ელექტრონულ სადგურში დინამო მაშინები. ეს სადგური აძლევს ელექტრონულ განათებას მთელ მონასტერს და ზღვის პირს. წყალი, რაც მილში არ ეტევა კლდის თავიდან გადადის გვერდზე და ჩადის წინანდელ თავის კალაპოტში. აქ არის ქვის კედელი აშენებული, რომელზედაც საგანგებოთ ვადმოსჩქეფს შეგუბებული წყალი და ამას უწოდებენ ჩანჩქერს.

ამ ჩანჩქერთან არის აგებული წისკვილი, რომლის ზედა სართულში ტრიალებს სამი უზარმაზარი წისკვილის ქვა და დიდი ბორბლის საშალღებით ფქვავს ხორბალს, როგორც ამბობენ, დღე და ღამეში 600 ფუთამდე ფქვავს. ქვედა სართულში კი იღებენ ფქვილს. აქვე დგას დიდი თუჯის ქვაბი, რომელშიაც ერთბაშათ იზილება 30-40 ფუთი ფქვილი მანქანის საშუალებით. ეს მანქანა იმავე ბორბალს მოჰყავს მოძრაობაში. აქვე არის დიდი უზარმაზარი ფურნე. დაკაპიწებული ბერები იღებენ ქვაბიდან ცომს, აგვარგვალებენ პურებათ და ალაგებენ თუნუქებზე; ამ თუნუქებს კი სხვები მარდათ აწყობენ ფურნეში. განელდება თუ არა გამომცხვარი პური, აწყობენ მას პატარა ვაგონეტებში. ვაგონეტებისათვის გაყვანილია რკინის გზის ლიანდაგი, რომელზედაც სულ ადვილათ მიაგორებენ ბერები. გავყვეთ ამ პურით სავსე ვაგონეტებს. აი მიაგორეს ისინი მონასტრის დაბლობზე, სასტუმროების ახლო, პურის საწყობათ დანიშნულ სახლთან. ჩვენ თვალ წინ ამ სახლიდან გამოცვივდენ ბერები, ამოაწყფს პურები და დაალაგეს იმ სახლში; ვაგონეტები კი უკანვე გაისტუმრეს. ამ პურებს აქ აწესრიგებენ: ზოგს გადასცემენ სასტუმროების სასადილოში და ზოგს მონასტრის მსახურთა სახლებში არიგებენ. ამ უკანასკნელთაც ხომ ცოტა არა სჭირდებათ, რად-



განაც მთელ მონასტერში 600 – 700 ბერი ითვლება და ამდენ ბერში ერთსაც ვერ დაინახავთ უსაქმოდ გაჩერებულს. ერთი წყება რომ ტაძარში ასრულებს სამსახურს, მეორე სასტუმროში დასტრიალებს სტუმრებს, მესამე სასადილოში ემსახურება მათ, მეოთხე მალაზიებში ვაჭრობს იმათვე ნაწარმოებ, მეხუთე სანთლის ქარხანაში მუშაობს, მეექვსე სამხატვროში, მეშვიდე კიბარისის და ალეანდრის ხეივნებს ასუფთავებს, მერვე ზეთის ხილს უვლის, მეცხრე ლიმონის, ფორთოხლის და მანდარინის ხეივნებს უვლის, მეათე ბოტანიკურ ბაღში დასტრიალებს და სხვ. ყველა ესენი ისე მშვენიერადა არის მოვლილი, რომ მნახველი აღტაცებაში მოჰყავს. იმდენი ადგილი უჭირავს ამ სამოთხის მსგავს ბაღს, რომ მთელი დღე უნდებით მის მხოლოდ დათვალიერებას. გაივლით თუ არა ას-ორას საეენამდის, უეჭველად შეხვდებით მშვენიერ თლილქვის აუზს, რომელსაც გარს ახვევია მწვანე სხვა და სხვა მცენარე და რომელიც სავსეა ოქროს ფერი თევზებით.

როდესაც თქვენ იქ დასეირნობთ, თვალს გადევნებენ ბაღის მუშა ბერები. თუ ჰკითხავთ რასმე, ისინი შეძლებისა და გვარად დააკმაყოფილებენ თქვენ კითხვას. ერთმა ბერმა სხვათა შორის გვიამბო—წარსულ წელში 21,000 ფუთი ზეთის ხილი გავყიდეთო. ზეთის ხილს აქ დიდი გასავალი აქვს სხვეტან შედარებით.

მთელი ბაღი გაშენებულია ფერდობზე, რომელიც იწყება ზღვის ნაპირიდან და თავდება უმთავრეს ტაძართან. ეს უმთავრესი ტაძარი ზევიდან დაჰყურებს მთელ ბაღს, აგებულია ფერდობზე, განგებ მოვაკებულ ადგილზე და გარშემო დიდი ეზო უვლის. ამ ეზოს არტყია გარშემო დიდი ორსართულიანი სახლები, როგორც ციხეს-კედელი. ზღვის მხრიდან არის ამ კედელში გამოხვერტილი მოზრდილი შესავალი მორთული ხატებით. ამ შესავლის ახლო ზედა სართულში სდგას თვით უფროსი ამ მონასტრისა, არხიმანდრიტი. დანარჩენ სახლებში მოსამსახურე ბერები. ამ გალავანშიაც მრავალი ეკკლესიებია. უმთავრეს ტაძარში ნიადაგ არის წირვა-ლოცვა. წირვაზე არ დავსწრებივართ, დავესწართ რაოდენჯერმე მხოლოდ საღამოს ლოცვაზე.—ეს ლოცვა ისე ხელოვნურადა

სრულდება, რომ იქ მდგომი სრულიად სმენათ გადაიქცევი და ამ ქვეყნიერი თითქმის აღარა გესმის-რა. ამბიონის იქით-აქეთ მხარეს დვას მგალობლის გუნდი ისე, რომ საყდარში მდგომი მლოცველები ვერ ხედავენ; ესმით მათ მხოლოდ მშვენიერი ხმები ორი მგალობელი გუნდისა. მოხდება ისე, რომ ეს ორივე გუნდი, ვითომ უცნაურის თილისმით, უცებ გამოჩნდებიან ამბიონის წინ, გამწკრივებული იგალობებენ რაღაც ძილის პირებს და თვალის დახამხამებამდის გაქრებიან. ამნაირი წესი ლოცვის დროს მე პირველათ ვნახე და შევეკითხე ერთ ბერს: ამნაირი ცერემონია ყოველდღეს არისთქო? „რასაკვირველია, მაგრამ ეს რა არის შედარებით, მიპასუხა მან, წირვაზე უნდა დაესწროთ აქ და მაშინ დააფასებთ აქაურ წესებსაო“.

ამ ტაძრის გალავნის სახლებთა შორის, დასავლეთით არის, ასრე წოდებული, ძმათა ტრაპეზი. ეს გახლავსთ დიდი დარბაზი თაღებით დაყოფილი, მორთული მაგიდებით, სკამებით; კედლები ხატებით და სხვა და სხვა წმიდანების სურათებით. ამ დარბაზში სადილობენ ყველა აქ მოსამსახურე ბერები, დიდ დღესასწაულებზე, თავისი არხიმანდრიტის თავმჯდომარეობით. მთელი ჭურჭელი, გარდა საინისა და ჭიქისა, მათი ხელობისაა, ხისაგან გაკეთებული. სიამოვნებით გვიამბეს ბერებმა—როგორი სასტიკი საყვედური უთხრა არხიმანდრიტმა ერთხელ ტრაპეზის გამკარგულებელს მისთვის, რომ მას უკანასკნელ ბერზე უკეთესი კერძი მიართვეს. ამ „ძმათა ტრაპეზის“ ახლო არის სამხატვრო, სადაც ნიადაგ მუშაობენ მხატვარი ბერები. იქვე ახლოა წიგნთ-საცავი, ყდების საკეთებელი და სხვა. ახლა უნდა გადაათვალიეროთ შენობები გალავანს გარეთ: თქვენ ნახავთ მშვენიერ ხელოვნურ ხის სახერხავ ქარხანას, თუჯის ჩამოსასხმელ ქარხანას, სადაც ასხმენ ვაგონეტებს, გოგორებს და სხვა ნაწილებს, რკინის გზის ისრებს, ჭახრაკებს, სახლების კიბეებს და სხ., რაიც საჭიროა მთელი მონასტრისათვის; სხვა და სხვა ნიმუშების (მოდელების) სახელოსნოს, სამჭედლოს, ცხენის იარაღის სახელოსნოს, ცეცხლის საქრობ დეპოს, სამთლის ქარხანას; შორს ბაღის განაპირას ხედავთ კრამიტის და აგურის ქარხანას. ერთ მხარეს არის სადურგლე, სადაც ამზადებენ ყველაფერ ხის მისალას; აქედან ნახევარ ვერსის დაშორებით



არის ვენახი და საფუტკრე. ერთის სიტყვით, რაც კი საჭი-
რია ცხოვრებისათვის მონასტერს ყველაფერი აქვს და ყვე-
ლაში და ყველგან მმართველი და ოსტატი არიან აქ მოსამ-
სახურე ბერები. სკოლაც კი აქვსთ მშვენივრათ მორაიული
საუკეთესო დგამით. რა დარგი გნებავთ შეუწრეობის, რა
დარგი გნებავსთ ხელოვნებისა, რომ აქ არ ნახათ. მისავალ-
თან, ზღვის პირზეა წამოჭიმული დიდი მალაზიები, სავსენი
ბერების ხელთ ნაწარმოებისა, სადაც იყიდება მძივიდან დაწყე-
ბული, ქურჭელი, იარაღები, ხატები და სხვ. როგორც გვიამბეს,
აქ ადგილი არა აქვს ისეთ ბერს, რომელმაც ერთი რაიმე
ხელობა მაინც არ იცის და არც ერთი ბერი არ არის, — მოხელე
არ იყოს და არ მუშაობდეს. ყველა ეს, როგორც შევიტყუთ
მოქხდარა ახლანდელი არხიმანდრიტის მ. იერონის წყალობით,
რომელიც არის დიდად განათლებული და სრული ენერგიით
აღჭურვილი კაცი. სამოცამდე მასწავლებელი წავედით იმას-
თან, ვსთხოვეთ კარის ბერს — მოეხერხებია, რომ ჩვენ გვინდა
მივიღოთ მისი ლოცვა-კურთხევა. ბერი ავიდა თუ არა ზედა
სართულში, მაშინვე უკან მობრუნდა და გვითხრა:

— აი, აგერ ლოცვაზე მობრძანდება და კიბეზე შეხვდი-
თო. შევხედეთ, რაოდენიმე წამის შემდეგ მობრძანდება ჩქა-
რის ნაბიჯით ქალარა ბერი, ერთი შეხედვით გაბრიელ ეპის-
კოპოზს მოგაგონებსთ, თუმცა ტანათ მასზე მომცროა;
გონიერი და გამჭრიახი გამომეტყველება აქვს. დაგვინახა
თუ არა, შეჩერდა და როდესაც შეიტყო ჩვენი ვინაობა,
მაშინვე გატრიალდა უკან და მიგვიწვია თავის სადგომში.
სადგომი მისი შესდგება რაოდენიმე ოთახისაგან, წმინდა და
უბრალოთ დალაგებული, მაგიდებზე ბლომად არის სხვა და
სხვა წიგნები დაწყობილი. მიგვიღო თუ არა თავის ოთახში,
მაშინვე მოიტანა და სათითაოთ დაგვირიგა ყველას პატარა
ხატები და წიგნაკები, მისივე თხზულებანი შესახებ მონასტრისა
და წმიდათ ცხოვრებისა.

ამის შემდეგ ჩვენ დავათვალიერეთ ქ. სოხუმიც, მაგრამ
აფონის შემდეგ მას ჩვენზე აღარაფერი შთაბეჭდილება შეეძ-
ლო მოეხდინა, თუმცა ესეც სავსეა მშვენიერი ბაღებით.

დიდათ სასიამოვნოა, რომ ასეთი მდიდარი და დიდებუ-
ლი მონასტერი, როგორიც აფონია, დღეს წარმოადგენს ისეა



ადგილს, რომელიც ემსახურება კულტურას, რასაც შეუძლია განავრცელოს ხალხში ის, რაიც უფრო საჭიროა და სასარგებლო. მხოლოდ ერთი რამ არ არის აქ სასიამოვნო. არ არის სასიამოვნო და სამწუხაროა ის, რომ აქ არც ერთი ქართველი ბერი არ მოიპოვება: აქ რომ ჩვენ ქართველ ბერებს ჰქონდესთ მცირე ადგილი მაინც, მაშინ ისინი ცოტათ თუ ბევრათ გადმოიტანებენ სხვა ჩვენ მონასტრებშიაც რაოდენიმე ნაწილს მაინც იმ კულტურისას, რომელსაც აფონი ემსახურება. მე ვიცნობ ერთ მონასტერს საჩხერის ახლო, ჯრუჭში. ეს მონასტერი ბუნებითაც და ქონებითაც ღარიბი არ არის; ბერებიც ცოტანი არ არიან. რომ მიბრძანდეთ იქ, სრულიად ვერას ნახავთ იქ მოსამსახურეთა ხელით გაკეთებულს. გარშემო მთელი მთა მისია, ახლო სოფლებიც თითქმის მას ეკუთვნის და ტრთი ხეხილი არ უდგათ მათი ხელით დარგული, ბოსტანიც არ აქვთ თავისი, თუმცა ადგილი იმდენი აქვთ, რომ მახლობელ გლეხებს აქვთ დასამუშავებლათ მიცემული. ძველი ვენახებიც გლეხებზეა გაცემული და რომ გლეხები არ უზიდავდენ ნამუშევარსა და ხილს, მშიერი დაიხოცებოდენ, თუ არ იყიდდენ. რაოდენიმე ძირი ფუტკარია ძველი დროიდან ამ მონასტერში და იმასაც სხვას აძლევენ სანახევროთ მოსაფლელათ. ერთი ბერი ახლო არ მიეკარება სკას და როდესაც ამოღებულ სარაჯებს დაინახვენ, თეთრი თაფლით სავსეს, მაშინ კი მაღიანათ შეექცევიან ხოლმე. მთელი დრო, რაიცა გადარჩება ტაძარში სამსახურს, ძილში უნდა გაატარონ, გარდა შემოდგომისა, როდესაც სოფლად გადიან და ადგილების დალასა ჰკრეფენ გლეხებიდან. ¹⁾

მე ჯრუჭის მონასტერი მაგალითად მოვიყვანე. აგეთია დღეს უმეტესი ნაწილი ჩვენი მონასტრისა. განა არ შეუძლიათ ამ მღვთის მოსამსახურეთ, შეძლებისა და გვართ, ცოტათ მაინც მიბაძონ აფონის ბერებს და მით დიდი სამსახური გაუწიონ ხალხსაც და თავის თავსაც ასიამოვნონ?

ყარამან ჩხეიძე.

¹⁾ წრეულს ჯრუჭის მონასტერში ახალი აწმინდრითა, (ახა-შიძე) რომელიც უფაჟ ღონის ძიებას ხმარობს გაუმჯობესონ მონასტრის მდგომარეობა და გამაფხიზლან ბერები..

მ ე ს ა მ ე

(მოთხრობა ლემერსიესი)



ოემბრის ღრუბლიანი დღე იყო. წირვა გათავდა და ხალხი დაიშალა. მღვდელი, ლეგრანი საკუროთხეველში შევიდა, ცოტაოდნათ ბნელოდა ღრუბლიანი ამინდის გამო. აქ მას მიუახლოვდა ერთი გამხდარი და ფერმიხდილი ქალი თეთრი წინსაფარით და პატარა თავსახვევით. ის ტირილით დაემხო ლეგრანის წინ და გაიძახოდა: „იმას დახვრეტენ, დახვრეტენ!“..

ლეგრანს ვერაფერი გავგო, იგი გაკვირვებით დასჩერებოდა მტირალ ქალს; ბოლოს ჰკითხა; „ვის დახვრეტენ? და ვინ?“

— პრუსიელები... ჩემ ქმარს! — უპასუხა ქალმა ქვითინით. მღვდელი აღელვებული იყო და არ იცოდა რა ექნა, მან მოჰკიდა ხელი საბრალო ქალს და წამოაყენა.

— როგორ? თქვენს ქმარს? როგორ მოხდა ეს? ეკითხებოდა მღვდელი.

— დიად ჩემს ქმარს... გუშინ ვილაცხას მოუკლავს სამი პრუსიელი მხედარი... დღეს ჯარის უფროსმა ბრძანა, რომ სამაგიეროთ სამი ჩვენებთაგანი წილის ყრით დაეხვრიტათ. სამს მოკლავენ... ვინცეტს, ლარდერს და ჩემს ქმარს... უშველეთ, მამაო უშველეთ!

— მე რა შემიძლია, როგორ ვუშველო! — უპასუხა თავზარ-დაცემულმა მღვდელმა.

იმას გული უკვდებოდა, რომ ხალხს ასეთი უბედურება დაატყდა და მას კი შველა არ შეეძლო. არ შეეძლო ეშველა იმ საწყლებისთვის, რომლისთვისაც მზათ იყო შეეწირა მთელი სიცოცხლე, რა უნდა ექნა? როგორ უნდა ენუგეშებია ეს ქალი, რომელიც ვევედრებოდა, ქმრის სიკვდილიდან დახსნასა?

„არა, რაც უნდა მომივიდეს, ის მაინც უნდა დავიხსნაო“, გადასწყვიტა გულში მღვდელმა.



— ღმერთი მოწყალეა. ნუ სწუხარ! რამეს მოვანერგებ. უთხრა მან ქალს. ლეგრანმა საჩქაროთ ჩაიცივა და გასწია ჯა-
ოის უფროსთან.

როცა ქალაქის სამმართველოს უახლოვდებოდა, რომელ-
შიაც ჯარის უფროსი იდგა, მღვდელს ისედაც ფერმკრ-
თალს, თან და თან მიწის ფერი ედებოდა. შიშის ყრუანტე-
ლი უვლიდა, რადგან იცოდა, რა პასუხსაც მიიღებდა ჯარის
უფროსისაგან. მაგრამ გაქირვებულების სიკვდილიდან დახსნის
სურვილმა გული გაუმაგრა. ის შეიყვანეს ოთახში, სადაც ჯა-
რის უფროსი მაგიდასთან იჯდა და ქალაღდებს ათვალიერებ-
და. უკმაყოფილოთ შეხედა ლეგრანს და რადგანაც მიხვდა
მის მოსვლის მიზეზს ჰკითხა:—რა გნებავთ, ბ-ნო მღვდელო?

— მე მოვედი... გაუბედავით დაიწყო ლეგრანმა—გთხო-
ვით... იმ გლეხების შესახებ.. ისინი არ არიან დამნაშავენი.
— მიუტევეთ მათ!

— ომს ყოველთვის სამწუხარო შედეგი მოსდევს... თქვენ-
ნი ჯარის კაცები ჰკლავენ ჩვენ ჯარის კაცებს, თქვენი გლე-
ხები კი მკვლელებს თავშესაფარს აძლევენ... მაშასადამე
გლახნი არიან დამნაშავენი და ასეთ საქციელს უნდა ბოლო
მოეღოს.

ბევრს ეცადა ლეგრანი დაერწმუნებია უფროსი, რომ
გლეხები უდანაშაულო იყვნენ, მაგრამ ვერაფერს გახდა, ის
ხედავდა, რომ სამივეს ვერ უშველიდა და გადასწყვიტა ერთი-
სთვის მაინც ეშველა. და უთხრა:—არ შეიძლება ერთს აპა-
ტიოთ—ლერუას? იმას სამი პატარა ბავშვი ჰყავს და ავთ-
მყოფი ცოლი.

ჯარის უფროსმა უჩვენა ქალაღდი და უთხრა: აი ბრძანების
ქალაღდი, მე არაფერი არ შემიძლია. მე მოვალე ვარ ავასრუ-
ლო ის, რასაც მიბრძანებენ. თქვენ, როგორც მღვდელს, მგო-
ნი უნდა გვესმოდეთ. ჩვენ მოგვიკლეს სამი ჯარის კაცი და
ჩვენც სამი კაცი გვინდა. მომეცით მესამე!..

რადას გააწყობდა ლეგრანი, უნდა ამღვარო და წამოსუ-
ლიყო, მაგრამ ის ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ჯარის
უფროსმა მოუთმენლათ დაიწყო ქალაღდების გადაშლ-გად-
ნოშლა და უკმაყოფილოთ შეხედა მღვდელს.

უცებ ლეგრანმა წასდგა წინ ბიჯი და, თითქმის დატყვევებით, გაუბედავით წაილაპარაკა:

— მე არ მყავს ცოლ-შვილი. თუ ნებას მომცემთ მე ვიქნები მესამე!

ჯარის უფროსი განცვიფრებული მისჩერებოდა მღვდელს და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ უთხრა:

— მაშაო, რას ჩადიხართ. თქვენ ჯერ ყმაწვილი ხართ. იფიქრეთ კარგათ.

— მე თქვენ გთხოვთ!

ჯარის უფროსმა რაღაც დასწერა, ადგა, გადასცა ლეგრანს და უთხრა:

— აი, ბრძანება იმის შესახებ, რომ ლერუა გაანთავისუფლონ! შემდეგ აღელვებულის ხმით უთხრა: — მომეცით თქვენი პატიოსანი ხელი.

ლეგრანმა ჩამოართვა ხელი ჯარის უფროსს და წამოვიდა. ის გამოუთქმელ ბედნიერებას გრძნობდა. რომ არ შერცხვენოდა, სირბილით მივიდოდა სკოლაში, სადაც იყვენ სასიკვდილოთ მომზადებული სამი ტუსადი. აქ მას დაუხვდა ერთი ჯარის კაცი, რომელმაც უზრდელათ გამოგლიჯა მას ხელიდან ქალადი, მაგრამ, როდესაც წაიკითხა ქალადი, ზრდილობიანათ უთხრა: — მობრძანდით, ბატონო! ლეგრანი შევიდა სკოლაში და სთხოვა ჯარის კაცს დაეძახებია ლერუასათვის. ლერუა შეწუხებული სახით და თვალ-ცრემლიანი გამოვიდა. ის მივარდა მღვდელს და შეჰყვირა: ჩემი ცოლი, ჩემი უბედური შვილები!

ლეგრანმა აუხსნა, რომ მას აპატივეს, თავისუფალია! რადგან ცოლ-შვილიანია. ამის გაგონებაზე ლერუამ დაიწყო გიჟივით სიცილი, ხტუნვა და მაშინვე უნდოდა სახლში გაქცეულიყო, მაგრამ ლეგრანმა დაიკავა და ისინი ერთად წავიდნენ. როცა მიუახლოვდნენ ლერუას სახლს, ლეგრანმა უთხრა: — შენ აქ მომიცადე და მე შენს ცოლს შევატყობინებო. პატარა ქოხში ლერუას ცოლი იჯდა ბავშვებთან და მწარედ ქვითინებდა. ლეგრანის მომღიმარ სახის დანახვაზე ის მიხვდა, რომ რაღაც კარგი ამბავი მოიტანა ლეგრანმა და შეჰყვირა:

— სად არის ჩემი ქმარი?

ამ დროს ლერუა შემოვიდა, ის მივარდა ცოლ-შვილს



და დაუწყო მათ ხვევნა და კოცნა. შემდეგ მოუბრუნდა ლევანს და უთხრა.

— რით უნდა გადაგხადოთ სიკეთე თქვენ?

— მე მიხარია, რომ თქვენ ბედნიერები ხართ, გიყვარდეთ ერთმანეთი.

შემდეგ ჩამოართვა ხელი ცოლ-ქმარს, დაკოცნა ბავშვები და დაბრუნდა სკოლაში. აქ ერთი ოთახის კუთხეში ისხდნენ ტუსადები: მოხუცებული სოფლის ყარაული ლარდერი, რომელიც ჩიბუხს ეწეოდა, მის გვერდით იჯდა, სახეზე ხელები მიფარებული თვრამეტი წლის ყმაწვილი—ვინცეტი. ლევანმა მივიდა და დაჯდა იმათთან. ის ცდილობდა დაემშვიდებინა და ენუგეშებინა. ვინცეტი ქვითინებდა, ლარდერი აღანძლებოდა. ლევანმა მოჰკიდა ორივეს ხელი და წყნარის ხმით უთხრა: ჩვენ უკეთესათ უნდა გვექიროს თივი. შენ, ლარდერ, როგორც ძველმა მეომარმა, უნდა გვიჩვენო მაგალითი

— როგორ, განა თქვენც დაისაჯებით? ჰკითხა მოხუცმა.

— მე მესამე ვარ—ლერუას მაგივრათ. იმას ცოლი ჰყავს, შვილები...

— და თქვენ თავს სწირავთ,—შეჰყვირა ლარდერმა. ოხ! ნეტავი ახლა ისინი ჩავიდნო ხელში, მუხლები რომ მქონდეს—მე ვაჩვენებდი იმათ სეირს!

ლევანმა დაამშვიდა ლარდერი და ჰკითხა მათ: ხომ არ გინდათ აღსარების თქმა? ისინიც დასთანხმდნენ. როცა ლევანმა სახლში დაბრუნდა, ეკლესიის დარაჯს უთხრა, მოეყარა ხალხისთვის თავი საყდარში სამ საათზე.

— საუზმის შემდეგ ლევანმა წაიღო ერთი ნაჭერი პური და შაქარი და გავიდა ეზოში. ამის დანახვაზე ბაღანში მწოლარე ლამაზი ვირი წამოდგა და მივიდა მასთან. ლევანმა ერთი ხელი გადახვია კისერზე და მეორეთი დაუწყო ფერება. — ჩემო კარგო, ჩემო ლამაზო! ეალერსებოდა ის ცხოველს. ვირმა დაუწყო სუნვა და მერე მორთო ყროყინი.

ლევანმა ამოიღო ჯიბიდან პური და შაქარი და მისცა მას: იქვე კაკანობდნენ ქათმები და ხტუნაობდნენ ბაქიები.

ლევანმა ამათაც მოეფერა და შევიდა ბაღში. დიდხანს დასეირნობდა, თითქოს უნდოდა უკანასკნელათ დამტკბარიყო იქ ყოფნით. უცებ შეხვდა საყდრის საათს, პირველის ნახევარი



იყო. სამი საათის შემდეგ მე ცოცხალი აღარ ვიქნები, გაიფიქრა მან და უნებურათ დაიწყო ხელები გულზე, თითქოს უნდოდა გული დაეფარა ტყვიისაგან.

„სამი საათის შემდეგ სამუდამოთ ლაიძინებს! განა ეს შესაძლებელია? კაბუკი, ჯანით და ღონით სავსე და მოკვდეს! მერე როგორი ბედნიერი იყო! ღვთის სამსახური, ხალხის სიყვარული, მათთან საუბარი, თავისი ეზოს ცხოველები, რომელნიც იმას ისე ძლიერ უყვარდა. ყველაფრით შემკული ბაღი! რისთვის, რისთვის ჩაიდინა მან ეს სისულელე, რისთვის შესწირა თავი?“

ამ ფიქრებით გამწარებულმა მივარდა ბაღის კარებს, გააღო და მას თვალ-წინ გადაეშალა გზა. იქიდან რამოდენიმე ვერსის მანძილზე რკინის გზის სადგური მოჩანდა. მღვდელმა მიიხედ-მოიხედა არავინა ჩანდა. მას ხომ ვერავინ დაინახავს. ის გაიქცევა, მივა სადგურზე, ჩაჯდება მატარებელში და გასწევს შორს, შორს, იქნება თავისუფალი, ცოცხალი... ის თავდავიწყებით გავარდა უქუდოთ, მაგრამ უცებ შეჩერდა, მას გაახსენდა პატიოსანი სიტყვა... ლერუა... და ტირილით დაემხო მიწაზე. დიდხანს ილოცა, ვევედრებოდა მხურვალეთ ქრისტეს, რომელიც ამისაგით იტანჯებოდა ჯვარცმის წინ, რომ გაეადვილებინა მისთვის ეს ტანჯვა. ლოცვით ცოტა არ იყოს დამშვიდებული, ის შევიდა სახლში. ლეგრანი გრძნობდა რომ მარტო დარჩენა და ფიქრი საშიში იყო მისთვის. საჩქაროთ დასწერა ანდერძი, რომელშიაც მთელ თავის ქონებას უტოვებდა ჟღარბებს გლენებს. დანარჩენებს—ზოგს წიგნს, ზოგს ჯვარს და სხვ... ვირი მან უანდერძა მდიდარ სოფლებებს და სთხოვდა არასოდეს არ გაეყიდათ და კარგათ მოევლოთ. შემდეგ პირი მოიპარსა, ჩაიცვა ახალი ტანსაცმელი, ხელთათმანები. დიდხანს ილოცა. გახდა სამი საათი. ლეგრანი წავიდა საყდარში. საყდარი სავსე იყო ხალხით. უბედურებამ, რომელიც დაატყდა მთელ სოფელს ისე შეაწუხა, რომ სუყველა მოსულყო საყდარში, იმ ადამიანთან, რომელსაც შეეძლო ენუგეშებია ისინი.

მღვდელი ავიდა კათედრაზე.

— ძმებო, მიმართა მან ხალხს, მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ სუყველა მოსულხარო, ჩვენ ერთად ვილოცოთ ტუსა-

ღებისათვის. მე როგორც იყო, დავიხსენი ლერუა, ვინცეტი და ლარდერს ვერაფრით უშველე. მე ორივე ვნახე და ვანუგეშე. ისინი მზათ არიან შეხვდენ სიკვდილს, ისე როგორც შეპფერის ყოველ ქრისტიანს. შემდეგ დაწყნარებით და გრძნობიერათ ილაპარაკა ადამიანის მოვალეობაზე, რომ ადამიანმა უნდა შესწიროს თავი სხვას, თუ ამას საჭიროება მოიხზავს, ყოველ ადამიანს უნდა უყვარდეს თავისი სამშობლო და სხვ...

იმისი ლაპარაკი ადამიანის გულამდე აღწევდა და ამშვიდებდა. უცებ იმის ლაპარაკი შესწყვიტა რაღაც ყვირილმა. ეს იყო ვინცეტის დედა, რომელიც გულშეწუხებული გაიყვანეს საყდრიდან. ხალხი შეინძრა. ახლა ვილოცოთ ტუსადებრსათვის, სთქვა ლეგრანმა, მიბრუნდა საკურთხევისკენ და თავისი მშვენიერი ხმით დაიწყო გალობა.

შემდეგ დალოცა ხალხი და ურჩია თავ-თავის სახლცეში წასულიყვენ და ჩაკეტილიყვენ. ლეგრანი დაინახეს სკოლისაკენ მიმავალი ქოლგით ხელში.

მეორე ღღეს გღეხებმა გაიგეს, რომ მათი მღვდელი პრუსიელებს დაეხვრიტათ ლერუას მაგივრათ.

(თარგმანი)

ელ. ხაბურზანიძე.



ბიძიას ნაამბობი

(ბავშვების ცხოვრებიდან*)

დავწყველოთ და დავარისხოთ ის ვაჟბატონები!!



მ ამბის შემდეგ მთელი სოფელი ფეხზედ დადგა: ხალხს გულის იარები აეშალა, უკმაყოფილების ნისლი მოეფინა მის გარშემო. დიდმა თუ პატარამ, ძლიერმა თუ უძლოურმა ყველამ იგრძნო უსამართლობა, ყველას უძგერდა გული, ყველა გმინავდა, იღრინებოდა.

რათა? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ? ყველა გაიძახოდა და სწუხდა, რომ მათ შორის გამოჩნდნენ კაცები, რომელთაც უღალატეს სოფელს, გაქელეს და შეურაცხვეს სოფლის ზნე-ჩვეულება, გადაქელეს მისი ცხოვრება... ვადასწყვიტეს ერთად შეყრა და ამ ჭირ-ვარამზე მოლაპარაკება... მარიამობისთვის პირველ რიცხვებში პალიკომ, სოფლის დავალებით, ჩამოუარა სოფელს და დაავალა—ყველანი წამოსულიყვენ გორი-ჯვრის წმიდა გიორგის ნიშთან და დაეწყველოთ და დაერისხებიანთ ის ვაჟბატონები, რომელთაც ასე ურცხვათ უღალატეს სოფელს და დასწიხლეს მისი ზნეობითი ავლადიდება...

მეორე დღეს მთელი სოფელი აიყარა... დიდი და პატარა, ვისაც კი სიარული შეეძლო და არ შეეძლო - ყველამ ფეხი აიდგა და დაიძრა სოფლიდან... მეც გავყე ამ აზვირთებულ ტალღას და ერთი საათის შემდეგ მივედით იმ ალაგს, სადაც სოფლელებს უნდოდათ თავისი გულის ბოლმი დაენთხიათ. მზეს დიდი ხანია გაეშალა თავისი სხივები და თავისი

*) ჟეჟაილი № IX.



მადლი ამ ალაგისთვისაც დაებერტყნა... მეტათ ლამაზი იყო ეს ალაგი და უფრო ლამაზათ და კეკლუცათ გვეჩვენებოდა იგი, რომ ჩვენი გული ბოლმითა და ვარმით არა ყოფილიყო დატვირთული.

ნიში ერთ უზარმაზარ მუხის ძირში იყო აშენებული და აქეთ-იქით დაბურული ხეებით. ხალხი გარს შემოერტყა ამ ნიშს, პირჯვარი დაიწერა, დაიჩოქა, შეავედრა თავი თვისი, თვისი ბალები, საქონელი, გუთან-საკვეთელი, მთელი სოფელი, ძლიერება. სთხოვა ხალხისთვის ერთსულოება, ჯანმრთელობა, საქრისტიანოს გაბრწყინება... ყველანი რიგ-რიგობით მიდიოდნენ ამ ხატთან და ერთსა და იმავეს იმეორებდნენ... ამის შემდეგ ხალხი მიიფანტ-მოიფანტა აქა-იქა ბუჩქებში. სიმშვიდე და სიწყნარე ჩამოვარდა... ამ დროს გამოჩნდა მღვდელი, მამა თევდორე, მივიდა ნიშთან სასოებით ხატის წინ პირ-ჯვარი გადიწერა და ხალხსა სთხოვა წინ წამოდგარიყო და მოესმინა მისი სიტყვა. ხალხიც გარს შემოერტყა და სმენათ გარდაიქცა. მოძღვარმა დაიწყო:

„შვილებო და ქრისტიანებო!

„ღღევანდელი ღღე მწუხარების ღღეა, ჩემო შვილებო! ვიცი თქვენი გულის ნადები, თვალ-წინ ვაქვს გადაშლილი ბოლმით სავსე თქვენი გული... მეც თქვენთან ერთად ვწუხვარ თქვენი მწუხარებით, თქვენი გულის ქარიშხალი ჩემს გულსაცა წვდება, ცხოვრების შავი ყორანი მუდამ ჟამს მეც დამჩხავის, მაგრამ მაინცა და მაინც გეტყვით, შვილებო, რომ ღღევანდელი თქვენი განძრახვა ღღეთის წინააღმდეგი განძრახვაა. ღღერთმა ყველაფერი იცის და ღღიდ არს სახელი მისი, უფრო უკეთ გასჯრს მათ საქცუელს. თქვენ კი დაიმშვიდეთ გული და მომანდეთ მე ეგ საქმე... მე მათ დაეაბრუნებ მრუდე გზიდან, პირს თქვენკენ ვაქნევინებ... ახლა კი დამშვიდდით, გულს ნუ იწყლულოებთ... ნუ იბოროტებთ... რათ გინდათ, რომ ცოლს ქმარი მოაშოროთ, აი ამ პაწაწინა ბარტყებს ბინა დაუშალოთ... მამა მოაშოროთ“... ამ სიტყვებზედ ბავშვების ქვითინი მოისმა... ხალხი აზვირთდა... ზვავი უფრო უარესათ ჩამოაწვა ხალხის გულს... ღღელავდა, გმინავდა და კრინტი ხმა კი ვერ მოეხერხებინა ეთქვა მოძღვრის წინაშე... ამ დროს გაირღვა ხალხის წრე და მღვდლის წინ გა-

მოჩნდა თმა-გაწეწილი დედაკაცი. ეს იყო ზაქარიას იგი მთლად აქარხლოებული, თვალეზ-ამღვრეული იდგა მოძღვარის წინაშე და გულ-დამწვარი გაჰკიოდა:

— არა, იგი ჩემი არ არის... მოჰკალით, ჩაქოლეთ, დასწყევლეთ, დაშვით... მან გოლალატათ თქვენ და თქვენც... თქვენც ნუ დასთმობთ... მოლალატეა იგი... ღმერთის მგმობელი... სოფლის გამცემი... ცოლ-შვილის მოლალატე... იუდა... მოჰკალით... არ მინდა... ოი... გული... შვილებო!... ნუ... ნუ...“

ნელ-ნელა ქრებოდი მისი ხმა, ძულა ეკარგებოდა, მიეხვეწა ნიშს და მორთო ხატის წინ ქვითინი...

ამ ამბავმა მოკლა და დადაგა ყველა იქ მყოფი... აქეთ-იქით- ქვითინი ისმოდა... ცრემლების ნაკადული წარღვნათ ინთხეოდა ხალხის თვალებიდან და ამ ამბით დამთვრალი ხალხი, გაქვავებული და თავზარ-დაცემული შესცქეროდა თავის საყვარელს მოძღვარს და ელოდა მისგან ამ აუტანელ მდგომარეობიდან გამოყვანას.

— შვილებო! ხომ დაინახეთ რაც აქ მოხდა... რა სასწაული მოგვივლინა ღმერთმა... ეხლა მაინც დაიმშვიდეთ გული... დაწყნარდით... ხომ ჰხედავთ რა დიდი ტანჯვა, რა აუტანელი ტანჯვა მიაყენეთ თქვენს მტრებს... დანარჩენი შეუხედეთ მათ... მოდით ილოცეთ ზვენთან ერთად... ილოცეთ მაგათი სულისათვის... ღვთისგან შენდობილს კაცმაც უნდა შეუხედოს... თქვა ეს, აილო ჯვარი ხელში, დაიწყო ლოცვების კითხვა, სასოებით წაიკითხა სახარების ის ადგილები, სადაც ქრისტე-ღმერთი ლოცულობდა მტრებისათვის, სადაც იგი ევედრებოდა ზეციერ მამას პატიებას, შენდობას და ამის შემდეგ მოიწვია ხალხი ჯვარზე სამთხვევათ. ხალხი ახლა კი დამშვიდებული და დაწყნარებული პირჯვარის წერით მიდიოდა ჯვართან და ყველა მათგანი გაიძახოდა: „ღმერთმა შეუხედოს!“ ამ დროს სად იყო და არა, გამოჩნდა ზაქარიაც... იგი აღელვებული, თვალეზ-დასისხლიანებული მივარდა მღვდელთან, უკნაურათ გადიწერა პირჯვარი... მღვდელმა ჯვარი მიუშვირა... მაგრამ ვერ მივიდა ჯვართან... გაქვავდა... ფეხი ვერ დასძრა აკანკალდა... ტუჩები შეანძრია... ძალაც დაატანა... ერთი ნაბიჯი წინ წასდგა... უნდა მისულიყო, მაგრამ უკანვე დაიწია.



— ვერა, მოძღვარო, ვერა... ჯვარი არ მიკარებს.. ცოდვიანი ვარ... მომკალით, ჩამაქვავეთ.. ჩამქოლეთ.. აი ჩემი სული!.. წაიღეთ... ხალხო! თქვენ გეუბნებით, თქვენ—მომკალით... ნუ მტანჯავთ—იარაღი თუ არა გაქვთ, აი იარაღიც და უბიდან გამოიძრო მთლად დასისხლიანებული ხანჯალი... უნდოდა ჩაეკრა გულში, მაგრამ იქვე მდგომმა პალიკომ ხელი სტაცა ხანჯალს და ხელიდან გამოსტაცა... საშინელი ამბავი მოხდა... ამ სანახაობის მოწამე ხალხი მთლად აღელდა... დაიწვა, დაიდაგა... — შე უღმერთო, რაზედ იკლავ თავს.. ეშმაკს რათ აბარებ შინს სულს—შეჭყვირა ყველამ, —ღმერთმა შეგინდო და ჩვენც გვიპატიებია შენი ცოდვა... აღე, წამო ისევ ჩვენი ხარ და ჩვენთანვე სწიე ისევ ცხოვრების ჭაპანი. ზაქარამ გაიღიმა, სიხარულის ცრემლები დაეძრა თვალებიდან და გაიმეორა: „ღმერთმა მაპატია...თქვენც მაპატიეთ...მაგრამ მაპატიეთ ძველი ცოდვა... ახალი ცოდვა? კაცი მოვკალ... ეს არის ეხლა მოვკალ... ჩავჩხე... თქვენი მტერი, თქვენი მოღალატე... ჩემი აზრის ამრევი... ცხოვრების ხიდის ჩამტეხელი... ჩემს როდესღაც უმანკო გულში ღვარძლის მთესველი... ღარი... მოვკალ, მოვაშორეთ... მწერალი აღარა გყავთ... უბედურმა ვერ შესძლო თავისი თავის მოკვლა...მთხოვა, მემუდარა...გამეთავებინა იგი.. და გავათავე კიდევ... გულ ღვიძლი ამოუტრიალე... ჩავაძალდე...და თქვენ ამბობთ ცოდო გვიპატიებია... განა ამასაც მაპატიებთ?..

ხალხი სდუმდა.

— ღმერთმა შეგინდოს, შეილო! მოდი ემთხვეე ჯვარს, უთხრა აღელვებული ხმით მოძღვარმა..


— შეგინდოს ღმერთმა!.. კანტი-კუნტათ გაისმა ხალხშიაც.

— შეგინდოს ღმერთმა—მოისმა ხალხის გრიალი..

ზაქარა გაკვირვებული დგას - შეჭყურებს მადლიან ხალხს და ხან იცინის, ხან ტირის, მარტის თვესაებრ არეულია—ამასაებ იცვლება ზაქარაც... დამშვიდებული ხალხი ნელ-ნელა წავიდ-წამოვიდა.


მწერლის გვამთან.

მოძღვარმა შესამოსი მოიხსნა... დიაკვანმა ჯვარი და სახარება ჩააღაგა ტოპრაკში... მოძღვრისა და დიაკვნის გარდა



იქ დავრჩით—მე, პალიკო და რამდენიმე გლეხი... მღვდელმა ცალკე გაუძახა ზაქარას და ბევრხანს ელაპარაკა, ებაასა... ბოლოს მას გადასწერა პირჯვარი თავისი მადლიანი ხელით და ჩვენც დაგვიძახა—წავსულიყავით იმ ალაგას, სადაც მკვლევლობა მოხდა.. შორსაც არ მოგვიხდა წასვლა... 10 წუთიც არ აქნებოდა გასული, რომ ჩვენ იმ ალაგას მივედით... ერთს კალოს ოდენა მდებლობედ, რომელსაც გარშემო ტყე ჰქონდა ღობესაებრ შემორტყმული, ეგდო მთლათ დასისხლიანებული მწერალი. იგი კიდევ ცოცხალი იყო... კვნესოდა... სული ტკბილია—შველასა სთხოვდა ყველას... ხეებს მორცხვით თავები დაეხარათ და ნიაფი მათ ტოტებს აქანებდა აქეთ-იქით... ყვავილებს მოხდენილათ გადაეხსნათ თავისი უმანკო გული და საყნოსველათ იწვევდნენ ყველას განურჩევლათ.. ჩხიკვებს ჩვენს შორი ახლო ერთი აურ-ზაური გაჰქონდათ... ხე-კაკუნა მაგრათ, მაგრათ სცემდა „ჩაქუჩს“... ზევიდან ტრიალებდნენ მტაცებელი ფრინველები და წივილ-კივილით სტკბებოდნენ ადამიანის ლეშის სუნით... ველარ გაუძეღ ამ სანახაობას და გავდექი შორს.. თუმცა კი ყველაფერსა ვხედავდი, ყველაფერსა ვგრძნობდი. მღვდელი მივიდა ახლო, სულ ახლო, დაუხსნა მომაკვდავს ღუგმები, რაღაც მალამო დაადო, კრილობა შეუხვია და იქვე ახლო მიუჯდა მას. მწერალს მღვდლის დანახვაზე თითქო ტკივილები შეუყუჩდა, ტუჩებზედ ღიმილმა გაუელვა.. გამხნევდა, ძალა მოიკრიფა და ნახი ხმით მოძღვარს დაუწყო ლაპარაკი:

— მოძღვარო! არა ვარ ღირსი მოვლისა... ცოდვიანი ვარ... მცხვენიანი... ნუ... ნუ... მიცქერი მოძღვარო!.. არა ვარ, არა ღირსი... მხოლოდ გთხოვ: ნურავის დააბრალებ... მე თვითონ მოვიკალი თავი... ვერ ავიტანე ცოდო... ხალხის ღალატით... ამასა ვთხოვ... ზაქარას ნურას დააბრალებთ... აი აქ უბეში მაქვს ბარათი... აქედან გაიგებთ, რომ მე თვითონ მოვიკალი თავი... ზაქარას ნუ დასჯით... ყველა საძაგლობა მე ჩავიდინე... მე ვუღალატე სოფელს... მე დავაჭერინე ის ალალ მართალი ხალხი... მოძღვარო!.. მაპატიე... ილოცე ჩემთვის... ვაი, დედავ!.. ვაი... ზაქარა!.. ზაქარას... ნუ... მე... მე... მე ვარ... ნუ... წადით... სთქვა უკანასკნელათ, ამოიღრანტალა, კიდევ რამდენჯერმე შეანძრია ტუჩები და განუ-



ტევა სული. ფრინველები უფრო ახმაურდენ... მზემ თითქო განგებ გამოუშო თავისი სხივები და დამწვარ-დადაგული დედის მაგიერ თვალები დაუკოცნა და ისევ ისე ღრუბელს მიეფარა... მღვდელს ცრემლები გადმოსცვივდა... გლუხებსაც მოედრღობლათ თვალები... ზაქარამ დაიჩოქა მის წინაშე, რაც ჩასჩურჩულა და მოძღვრის ბრძანებით ისევ მოშორდა მცხედარს

— მოდით, შვილებო, გამოემშვიდობეთ.. შენდობა უთხარით... იტირეთ, ივალაღეთ ამის სულისთვის. , ხომ ხედავთ ამას ჩვენს მეტი ჭირისუფალი არ გააჩნია... ამან ამბარათით გამოისყიდა თავისი ცოდვები და ღმერთმა მიიღო... აპატია... ჩვენც შეუწდოთ... შვილო, პალიკო! წადი სოფელში... ყველა ნახული შეატყობინე ხალხს... მოიტანე ურემი, შვილო, და ქრისტიანური წესით დავმარხოთ იგი. წადი, შვილო, წადი... ნუ დაიხარებ... ჩვენ აქ ვიქნებით... ყვავ-ყორანს არ შევაჭმევინებთ ამას...

პალიკო წავიდა... რამდენიმე ნაბიჯი არა ჰქონდა გადადგმული, ისევ დაბრუნდა და შორი ახლოდან შემოგვეყვრა: ხალხი ისევ აქ მოდის... ჩვენი იასონიც გამოუშვიათ... აქ მოდის ისიც... მე წამოვარდი... გიჟივით გავიქეცი გზისაკენ და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემს საყვარელ ძმას კისერზე ჩამოვეკონწიალე.

(დასასრული იქნება)

აღ. ნათაძე.



Открыта подписка на 1913 годъ.

МАЛЮТКА

ЖУРНАЛЪ ДЛЯ ДѢТЕЙ.

Допущенъ Министерств. Народнаго Просвѣщ. въ библиотеки дѣткихъ садовъ и пріютовъ.

Годъ изданія двадцать восьмой.

12 книжекъ журнала МАЛЮТКА. 12 выпускоевъ „Сказки Кота Ученнаго“ 24 преміи—игрушекъ для вырѣзыванія, склеиванія, рисованія и т. п.

Всѣ подписчики получаютъ при 1-й книжкѣ „РЕЙНЕКЕ-ЛИСЬ“. Поэма I, В. Гете, приспособлен. для дѣтскаго возр. съ иллюстр. Вольфа, Каульбаха и др. извѣстн. худ. Передѣлка Дяди Саши. Кроме того годовые подписчики получаютъ «Юбилейный альбомъ 1913 г.» и «Домашній театр Малютки».

Подписная цѣна со всѣми приложеніями и вып. „Сказокъ Кота Ученнаго“—4 руб. Безъ вып. „Сказокъ“ 2 р. 50 к. За границу 6 р. и 4 р.

Адресъ для иногороднихъ: Мхсква, редакція журнала „Малютка“. Въ Москвѣ подписка принимается въ конторѣ Н. Печковской. При перемѣнѣ адреса прилагаются три семикопѣчныя марки. Редакторъ А. М. Введенскій.

Оставшіеся въ небольшомъ количествѣ:

1) экз. жур. „Малютка“ за 1905, 1906 1907 г.г. сброшюров. отд. книжками продаются въ редакціи по 1 р. 25 к.; 1911 и 1912 года—по подписной цѣнѣ. 2) Сказка про Щелкуна и Мышиного Царя. Въ папкѣ, п. 1 р. 75 к. 3) Робинзонъ Младшій. Безъ перепл., цѣна 1 р. 50 к.

Подписчики ж „Малютка“, при выискѣ этихъ книгъ изъ дакціи на сумму не менѣе 2, руб., за пересылку не платятъ.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

„სახალხო გაზეთი“

ყოველდღიური საბლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებინათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შუკრი. დამატებინი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Сахалхо газети“.

ჯ ე ჯ ი ლ ი

საქმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.
ოცლა მეოთხე წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

გამოვა თვეები ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება
4 მან., ქალაქ გარეთ (გაკზავნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კპ.,
ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

ქუთაისში— ისიდორე კვიციანიძეს.

ბაქოში— ქალ. მართა კვიციანიძეს.

მინაილოვში— ვლად. ჩიქოვანს.

გორში— კნ. თამარა თარხნიშვილს.

სამტრედიაში— რაჟდენ ნანეიშვილს.

თელავში— კნ. ნ. ჩოლოყაშვილს.

სიღნაღში— კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში— ქალ. ჯაფარიძეს და — ნიკო წუწუნავას.

ბათუმში— მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго
журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1913 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь“

Подписная цѣна

| | | |
|-----------------------|----------------|----------------|
| Съ доставкой на домъ: | Въ Тифлисъ. | Въ провинци. |
| На годъ | 6 руб. — коп. | 8 руб. — коп. |
| „ полгода | 3 руб. 50 коп. | 4 руб. 50 коп. |
| „ 3 мѣсяца | 2 руб. — коп. | 2 руб. 25 коп. |
| „ 1 мѣсяць | — 75 коп. | — 75 коп. |

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, реакція газ. „Закавказская Рѣчь“, Двор-
цовая ул. д. Сараджева.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ Д. М. Думбадзе.

Издатель Э. З. Горделадзе